

გაზეთი ბეჭედი „ვერსია“ ერთი

ვერსია



60 თეთრი

№130 (1156) 18 - 20 დეკემბერი, 2015 წელი

ორშაბათი

ორშაბათი

პარასკევი

აქივებზე თავდასხმის
არაოფიციალური სტატისტიკა



გამკაცრებს თუ არა
კანონს პარლამენტი **33.6**

შეწყალების სკანდალის ახალი დეტალები

„კოვჩინის საქმიდან“ გამქრადი 1 700 000 ევრო
— რაფომ არ იქერენ დათა ახადიას



3-4

ადვოკატ მირიან ნიკოლაძის სკანდალური ინტერვიუ

მთავრობა პარლამენტისგან
კონსტიტუციის დარღვევას ითხოვს

ნაღმები საგადასახადო
კანონპროექტში

5



7-10



დემოკრატიის გოლგოთა:
უკრაინა საქართველოს
გზას იმეორებს?



561 დავნილ ოჯახს ბინა გადაეცა

თბილისის ზღვაზე, ე.წ. ოლიმპიურ სოფელში და მენაშენე-ბისგან გამოსყიდულ თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ კორპუსებში, ბინა 561 დავნილ ოჯახს გადაეცა. პროფესიული კავშირების შენობაში, 111 ერთთახიანი და 169 ორთახიანი ბინა ფარული კენჭისყრის პრინციპით განაწილდა. სამოთახიანი და ოთხთახიანი ბინების კენჭისყრა კი, 17-18 დეკემბერს გაიმართება.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ინფორმაციით, კომისიის გადანაცვლებით, ამ ეტაპზე, სულ 6 ნგრევადი შენობა დაიხურა, მათ შორის, ორი დიდი ობიექტი

ე.წ. აეროპორტის ჩასახლება და სასტუმრო „კოლხეთი“. კენჭისყრის პრინციპით ბინები ნგრევად შენობებში მცხოვრებ 130 დავნილ ოჯახზე განაწილდა.

კენჭისყრის პროცედურას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარა, მინისტრის მოადგილეები, დავნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის წევრები, სახალხო დამცველის აპარატის, აფხაზეთის მთავრობისა და ვეტერანთა დეპარტამენტის წარმომადგენლები დაესწრნენ.

კენჭისყრის დროს გაითვალისწინეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებები და მათ ბინები პირველ საართულზე გადაეცათ.



პრაიმი-მინისტრი სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე რუსეთის პრეზიდენტს განსხვავებულ პოზიციას აცხადებს

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რუსეთთან სავიზო რეჟიმის შესაძლო გაუქმებასთან დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებს და აღნიშნავს, რომ ვლადიმერ პუტინის განცხადება სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია.

პრემიერი აღნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 2011 წელს გააუქმა სავიზო მოთხოვნა რუსეთის მოქალაქეებისათვის, 2015 წელს კი, მთავრობამ უფრო გაახანგრძლივა საქართველოში მათი შესაძლო ყოფნის პერიოდი: „გავეცანით რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის განცხადებას საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთთან სავიზო რეჟიმის შესაძლო გაუქმების თაობაზე. ვფიქრობთ, რომ ეს სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია. საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 2011 წელს გააუქმა სავიზო მოთხოვნა რუსეთის მოქალაქეებისათვის. მიმდინარე წელს ჩვენ უფრო გავახანგრძლივეთ საქართველოში მათი შესაძლო ყოფნის პერიოდი, რადგან დაინტერესებული ვართ, რომ საქართველოს მეტი ტურისტის ენვოს რუსეთიდან და შეძლებისდაგვარად გამარტივდეს ადამიანებს შორის კონტაქტები.

გასათვალისწინებელია რუსეთში მცხოვრები ჩვენი მრავალრიცხოვანი თანამემამულეების, ასევე, ქართველი ბიზნესმენების და რიგითი მოქალაქეების ინტერესი სავიზო რეჟიმის გამარტივებასთან დაკავშირებით. მათი სურვილია, ორ ქვეყანას შორის მიმოსვლა მინიმალური სირთულეებით ხორციელდებოდეს.

მიუხედავად საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული პრინციპული ხასიათის უთანხმოებებისა, მათ შორის, 2008 წლის ომის გამოწვევებზე მიზეზებთან და მის შედეგებთან დაკავშირებით, ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩვენ შეძელით ვაჭრობის, სატრანსპორტო და ჰუმანიტარულ სფეროებში გარკვეული ნაბიჯები გადაგვედგა“.

ირაკლი ღარიბაშვილი აღნიშნავს, რომ ხელისუფლება მზადაა, გააგრძელოს არჩეული პრაგმატული კურსი რუსეთთან მიმართებაში და რუსეთის მხრიდანაც ანალოგიურ მიდგომას ელის: „უახლოეს დღეებში ველით ევროკავშირის გადანაცვლებას საქართველოს მოქალაქეებისათვის ვიზალიბერალიზაციის საკითხთან დაკავშირებით, რაც ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იქნება. ზოგადად, ჩვენი მთავრობის პრინციპული პოზიციაა, რომ საქართველოს მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ მსოფლიოში თავისუფალი გადაადგილების მაქსიმალური საშუალება. ჩვენი ხელისუფლების გააზრებულ საგარეო პოლიტიკას სერიოზული ხელშეხმარება შედეგები მოაქვს. სწორედ ასე აღიქვამენ ამას, როგორც ჩვენი მოქალაქეები, ასევე, დასავლელი პარტნიორები“.

დავით სანაკოვენი ქართულ მხარეს ბერაია მონაწილეობის მოთხოვნას აცხადებს



ერგნეთის ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების სამუშაო შეხვედრაზე, ოსური მხარის წარმომადგენლის განცხადებით, „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტები პანკისში წვრილნივს გადიან.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის წარმომადგენლის დავით სანაკოვენი თქმით, ტერორისტები პროვოკაციებს ე.წ. სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ამზადებენ.

„მივიღეთ ინფორმაცია, რომ პანკისის ხეობაში ხდება „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების კონცენტრაცია, რომლებიც სირიიდან ჩამოვიდნენ და ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან. ისინი ამზადებენ პროვოკაციებს „სამხრეთ ოსეთის“ მიმართულებით. მათი სამიზნეები კი, შესაძლებელია, რუსი და ოსი მესაზღვრეები გახდნენ. მათ სურთ რუსულ-ქართული ურთიერთობების დაძაბვა, რუსეთის მიერ სირიაში წარმოებული ოპერაციის ფონზე. ჩვენი ინფორმაციით, ეს ყველაფერი წინასაახალწლო პერიოდში იგეგმება“, — აღნიშნა ოსური მხარის წარმომადგენელმა.

ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა 16 დეკემბერს გაიმართა.

სანაკოვენი განცხადებას საქართველოში გამოეხმაურნენ. სუს-ის ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი ირაკლი ბერაია ამ ინფორმაციას სიცრუეს უწოდებს.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ირაკლი სესიაშვილის განცხადებით კი, საქართველოში დღეს არ არის ის ხელისუფლება, რომელიც სახელმწიფო ტერორიზმითა დაკავებული. სესიაშვილი ოსური მხარის მხრიდან გაკეთებულ განცხადებას პროვოკაციულ ნაბიჯად აფასებს, რომელიც მისი თქმით, მიმართულია იქით, რომ მოლაპარაკებები ჩაიშალოს: „ყველამ კარგად იცის, მათ შორის დე ფაქტო ხელისუფლებებმა, რომ დღეს არ არის ის ხელისუფლება, რომელიც სახელმწიფო ტერორიზმით არის დაკავებული. ამიტომ, მათი ეს განცხადება შესაძლოა მივიჩნიოთ როგორც პროვოკაციული და მიზანმიმართული იმისკენ, რომ მოლაპარაკებები ან ჩაიშალოს ან არ დადგეს ის ძირითადი საკითხები, რაც აწუხებს მოსახლეობას“.

საფრანგეთში ბერაია 2,4 ტონა კოკაინი აღმოაჩინა, ბერაია ქართველი კაპიტანი დააკავებენ



მოლდოვის დროშის ქვეშ მცურავი სატვირთო გემი ჩარიბ ალმ, რომელიც კოლუმბიის პორტიდან პოლონეთისკენ მიცურავდა, საფრანგეთის პოლიციამ საპორტო ქალაქ ბულონ-სიუ-მერში დააკავა.

მოლდოვის ტრანსპორტისა და საგზაო ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, გემმა დროებითი რეგისტრაცია მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს მიიღო და ამ დროისთვის მუდმივი რეგისტრაციის მისაღებად ემზადებოდა.

ეკიპაჟის წევრები უკრაინისა და თურქეთის მოქალაქეები არიან. მომხდარზე დაკავებულია რამდენიმე პირი.

როგორც ცნობილია, რეკორდული რაოდენობის ნარკოტიკული ნივთიერება სპეციალურ სამალავში იყო დამალული.

როგორც მოლდოვის სახელმწიფო უწყებებში აცხადებენ, დანაშაული არანაირად არ არის იმ ქვეყანასთან კავშირში, რომლის დროშის ქვეშაც ცურავს გემი და ხშირ შემთხვევაში, დანაშაულს ეკიპაჟის წევრები ჩადიან და კაპიტანი ან მფლობელი არ ფლობენ მათ უკანონო ქმედებებზე ინფორმაციას არც ფლობენ.

საერთაშორისო ნორმების მიხედვით, ეკიპაჟის დამნაშავე წევრებზე საფრანგეთის მოქმედი კანონმდებლობა გავრცელდება. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სისპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ინფორმაციით, გემის კაპიტანი ქართველი, კერძოდ, ბათუმელია. მამუკა ახალაძის განმარტებით, მომხდართან დაკავშირებით, უკვე შეატყობინეს საფრანგეთში საქართველოს საელჩოს. საფრანგეთში საქართველოს საკონსულომო კი, ქართველის დაკავების თაობაზე საფრანგეთის შსს-ს მიმართა. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულმა უნდა გამოთქვას სურვილი, რომ მის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს საკონსულოს.


საფრანგეთში საქართველოს ელჩის, ეკა სირაძე-დელიონეს განცხადებით, ფრანგი სამართალდამცველები საქართველოს საელჩოს უფლებას არ მისცემენ დაკავებული გემის ქართველი კაპიტნის შესახებ, დეტალური ინფორმაცია მოიძიოს.

საქართველოს საელჩო მაქსიმალურად ეცდება, ბადრი ბერიძის შესაძლებლობის ფარგლებში, დაეხმაროს. როგორც ელჩი აღნიშნავს, ოჯახის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ ბადრი ბერიძეს ადვოკატი ამ დრომდე არ ჰყავს, გადასამოწმებელია. მისივე თქმით, საელჩოს არ აქვს შესაძლებლობა მას ადვოკატი დაუქირავოს: „დაკავებული არ დაგვკავშირებია, საელჩოს მისთვის ადვოკატის დაქირავება არ შეუძლია. ჩვენ შეგვიძლია ადვოკატი მოვიძიოთ და დავაკავშიროთ მას. მე გადავამოწმებ, ბადრი ბერიძეს ჰყავს თუ არა ადვოკატი. ეს იმ მასშტაბის საქმეა, რომ მიზანშეწონილი არ არის აქტიურად ჩარევა. ბუნებრივია ვეცდებით ჩვენი მოქალაქის დახმარებას, მაგრამ 2,4 ტონა კოკაინი ცოტა არ არის. ეს სერიოზული კრიმინალია. სანამ გამოიძიება მიმდინარეობს, ფრანგები საქმის დეტალებს არ გავაცნობენ. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვცდილობთ ინფორმაცია მოვიძიოთ. ეჭვი მეპარება, ადვოკატი არ ჰყავდეს დაკავებულს“.

დაკავებული კაპიტნის შვილი გიორგი ბერიძე აცხადებს, რომ მამამისს არ ჰქონდა ინფორმაცია, გემზე ნარკოტიკული ნივთიერების არსებობის შესახებ. მისი თქმით, 12 დეკემბერს ოჯახს უცნობი პირი დაუკავშირდა და უთხრა, რომ ბადრი ბერიძე დაკავებულია.

გურჯაანში საგარეო სახელმწიფო ტაძარი გაეხსნა

შემთხვევა 16 დეკემბერს გვიან ღამით მოხდა. როგორც ეკლესიის მოძღვარი მამა ვაჟა სონდუ-ლაშვილი აცხადებს, დამნაშავეებმა კარი გატეხეს და შესანიერი ყუთი წაიღეს. მეორე ყუთიდან კი, თანხაა ამოღებული. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოიძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს. მსგავსი ფაქტი რამდენიმე დღის წინ ლაგოდეხშიც მოხდა, სადაც ერთდროულად ორი ეკლესია გაქურდეს.



შენაწილის სანდოს ახალი დაბალი

„კოკაინის საქმედან“ გამქრადი 1 700 000 ევრო — რაც არ იქნენ დათა ახადიას



ენიშ კომახიძე
599-95-33-16

„შენაწილის საქმის“ სკანდალი კვირაზე მეტია გრძელდება, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მედიასაშუალებმა თუ პოლიტიკური ფიგურა დღეებია, მხოლოდ ამ საკითხზე საუბრობს, საქმეში მანაც პასუხზე მეტი კითხვაა. არის ერთი თემაც, რომელიც შენაწილის ტყუილ-მართლის მიღმა არავინ შეიმჩნია — ე.წ. კოკაინის საქმეში ამოღებული დაახლოებით 2 მილიონი ევროს ასავალ-დასავალი. ამის შესახებ ექსკლუზიური ინფორმაცია და პროკურატურისთვის გაგზავნილი ოფიციალური წერილები „კოკაინის საქმის“ ერთ-ერთი მონაწილის, ბიზნესმენ ნუგზარ ბოჭორიშვილის ადვოკატმა, მირიან ნიკოლაძემ მოგვანოდა, რომელსაც პროკურატურამ „შენაწილის საქმეზე“ 5-საათიანი დაკითხვა მოუწყო. „ვერსიის“ რესპოდენტი სწორედ „კოკაინის საქმეზე“ ბრალდებულების, ნუგზარ ბოჭორიშვილისა და ანასტასია ზაუტაშვილის ადვოკატი მირიან ნიკოლაძეა, რომელიც არ გამოიციხავს, ამ სკანდალური ისტორიის უკან ხელისუფლების ერთი შტოც იდგეს, ნაციონალებთან ერთად. მირიან ნიკოლაძე საუბარს სწორედ მისი 5-საათიანი დაკითხვის დეტალებით იწყებს.

— ეს ძალზე ვრცელი დაკითხვა ნუგზარ ბოჭორიშვილის საქმეში ჩემი ადვოკატად ჩართვის დღიდან, ანუ 2010 წლის 2 ივნისიდან მოყოლებული, დღევანდლამდე მთელ პერიოდს მოიცავდა. ამ საქმის ადვოკატი პირველივე დღიდან ვარ და ჩემთვის ეს საქმე არავის, მათ შორის, არც მანანა კობახიძეს არ გადმოუბარებია. ჩემთან ერთად იყვნენ სხვა ადვოკატებიც, რადგან ეს ჯგუფური საქმეა და 5 პირს ფიზიკურად მარტო ვერ დავიცავდი. ცხადია, მაშინ გამოძიებაც ჯგუფურად მუშაობდა. როგორც პროკურატურიდან გავიგე, გამოძიების დაწყების მიზეზი ალექსანდრე ელისაშვილის განცხადება გახდა და სხვა რამეც რომ იყოს, მე ვინ მეტყვის.

რეალურად, ამ ორმა ადამიანმა, ელისაშვილმა და ქორიძემ, ის გააკეთა, რომ ამ სკანდალთა დაკავებულების გათავისუფლების შანსი მოუსპეს. 3 შვილი ჰყავს ანასტასია ზაუტაშვილს და ბავშვები უდღეოდ იზრდებიან — ამაზე დიდი საშინელება რა შეიძლება იყოს?! ქალი ციხიდან რეკავს და როცა საშუალება აქვს, გაკვეთილებს იბარებს, რომ ბავშვები ხელიდან არ წავიდნენ. ამის ფასი რა გააკეთეს ქორიძე-ელისაშვილმა, ამისთანა რა ქულები დაინერეს, რომ ამ ადამიანებს ყველა შანსი საბოლოოდ მოუსპეს? ზაუტაშვილის საქმეზე, ალექო ელისაშვილი შენაწილის კომისიის თავმჯდომარეობის განმავლობაში სულ იმას ამბობდა, ეს კომისიის ღირსების საქმეა, ეს ხალხი ციხეში არ უნდა იჯდეს, მე შევალ პრეზიდენტთან და ვეტყვი, რომ გამოსაშვები არიანო. ორი დღის წინ კი თურში აცხადებდა, როგორც კი ამ საქმის მასალებს გავეცანი, მივხვდი, რა უბედურებაც ხდებოდაო. ნამუსი აქვს საერთოდ?

ან როცა ახლანდელი თავმჯდომარე ზვიად ქორიძე ამბობს, როცა ალექო საქმეები გადმომაბარა, მუქარის მესიჯებიც მანახა და ეს საქმეცო. ჰოდა, ეს დალოცვილი, თუ თავიდანვე საქმის კურსში იყო, რას გვატარებდა აქეთ-იქეთ და გვაიმედებდა თვეების განმავლობაში, კომისიაზე საგამონაკლისო წესით გავიტან ამ საქმეს, პრეზიდენტთან შევალ და ა.შ.? ამათ რა უნდა ელაპარაკო, ესენი საუბრობენ ახლა თავიანთ უანგარობასა და უმნიშვნელობაზე?

— შესაძლოა, ვინმემ კიდევ არ იცის, კონკრეტულად რა საქმეზეა საუბარი. როგორც 2010 წელს ე.წ. კოკაინის საქმეზე დაკავებულებისა და ბიზნესმენ ბოჭორიშვილის ადვოკატმა, გვიამბოთ, რა მოხდა მაშინ და რატომ მიგაჩინათ ეს საქმე პოლიტიკურად მოტივირებულად, როცა საქმის პირობითი სახელის გარდა, ყურს ისიც ჭრის, რომ მაშინ გამოძიება 200 კვ კოკაინის ამოღებაზე საუბრობდა.

— არც ერთი გრამი კოკაინი ამ სისხლის სამართლის საქმეზე არ ამოუღიათ. 220 კგ ნარკოტიკს ედავებოდნენ ხალხს და ერთი გრამი ვერ უპოვეს. მერე იცით, კოკაინი ვერ იშოვეს და ამ საქმის ერთ-ერთ მონაწილეს, მეველედ სვანიძეს შეროინი ჩაუდეს. 9-ჯერ გაჩხრიკეს მათი სახლები, ვერაფერი ამოიღეს და უტყობა, 24-საათიან „კაიფში“ მყოფი დათა ახადია ცოტა გონს რომ მოვიდა, ვილაცამ უთხრა, თქვე უპატრონობო, კოკაინზე საქმე გაქვთ და ერთი გრამი არსად ჩანს, ხალხი რას იტყვის, რას აკეთებთო. ამის მერე, შეათე ჩხრეკისას, მეველედ სვანიძის ავტომანქანის ძრავაში კოკაინი „აღმოჩნდა“. როგორც მახსოვს, აქედან სუფთა კოკაინი, ჯამში, 38 გრამი იყო. ეს სქემა, მანქანის ნაწილებითა და ჯართით ნარკოტიკის გადმოგზავნის შესახებ კი აბსოლუტური სისულელეა.

სასამართლოში, როცა ეს ოპერმუშაკები მოწმეებდა მოიყვანეს, ყველაფერი აურიათ და ზოგმა თქვა, კოკაინი ძრავის ზემოდან ამოვიღეთო, ზოგმა — ქვემოდანო. ვისაც კოკაინი აინტერესებდა, ახალაისთვის უნდა ეკითხა. ამ მართლა გაუბედურებულმა ნარკომანმა ზეპირად იცოდა, ვის სად ჰქონდა, რამდენი და როგორი. ამ დროს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს შს სამინისტრომ და ვანო მერაბიშვილმა ოფიციალურად მისწერეს, ნული გრამი კოკაინი ვიპოვეთო. იქ მერაბიშვილმა თამამად დანერა, ვერც ერთი გრამი ნარკოტიკი ვერ ამოვიღეთო, აქ კი ხალხს „აბოლებდნენ“, „კოკაინის საქმე“ გავხეტოქეთო. კახა სვანაძე, მონმე, რომელიც ენით აუნერული წამება გადაიტანა, პროკურატურის წინ 1 კვირა რომ შიმშილობდა, ჩვენება მინდა მოგცეთო, ადამიანად არ ითვლებოდა და ალექო ელისაშვილის ერთი განცხადების გამო რატომ დაიქცა ქვეყანა? ბოჭორიშვილის „შესაწყალებლად“ ე.წ. ფულის გადახდელის ვინაობაც დროზე უნდა დასახელდეს — ჩვენი მხარე, ზაუტაშვილი, თავად ბოჭორიშვილი ამბობენ, რომ ფული არავის გადაუხდია ბუნებაში და ჩვენც გავგაგებინონ, ვინაა ის გადახდელი, ბილ გეთისი?

— **იქნებ, „კანონიერი ქურდი“ შაქო კალაშოვი? საქმეში კალაშოვიც ჩანს, რომელიც თურმე, ბოჭორიშვილის დახმარებას თენგიზ გურჩიანს სთხოვდა. ბოჭორიშვილს კალაშოვთან რაიმე ურთიერთობა აქვს თუ არა და როგორ გაჩნდა „კოკაინის საქმეში“ მისი სახელი?**

— საქმეში კალაშოვიც ერთი ფრაზა წერია — დარეკა კალაშოვმა და თენგიზ გურჩიანს უთხრა, დაეხმარე ბოჭორიშვილსო. მერე ამით, რა? კალაშოვი სხვაგან საერთოდ არსად ჩანს ამ საქმეში, ერთი სიტყვაც არაა ნახსენები. როგორც კოკაინი არაა ამ საქმეში, ისე არაა კალაშოვიც, უბრალოდ, მერე კოკაინი ჩაუდეს მანც და კალაშოვი ვერა. იმ აგენტებსაც კი, ვინც პროკურატურამ მოწმეებდა დაკითხა, ვერ ათქმევინა, რომ ბოჭორიშვილს კალაშოვთან რამე აკავშირებდა. საერთოდ, არც იცნობდა ერთმანეთს, ნანახიც კი არ ჰყავთ. კიდევ უფრო სასაცილოა ბრალდება, რომ ბოჭორიშვილის „სიაში ჩასასმელი“ ფული სოზარ სუბარისა და თემო გურჩიანის გავლით მივიდა ბესელიამდე. ვინც ამას ამბობს, საერთოდ არაფერი იცის ამ ადამიანების შესახებ და არ ესმის სიტუაცია — ეს პირადი თემაა, გურჩიანსა და ბოჭორიშვილს კარგი ურთიერთობა არასდროს ჰქონიათ, მით უმეტეს, ისეთი, ბოჭორიშვილს გურჩიანისთვის ფული გაეტანებინა. პირდაპირ ასე დანერეთ: ამ სქემას, დებლის გარდა, ვერავინ მოიგონებდა და გონზე არ არიან, რას ამბობენ!

დასასრული მე-4 გვერდზე



შს მინისტრმა აპერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტი დაასრულა

შინაგან საქმეთა მინისტრის, გიორგი მღებრიშვილის ოფიციალური ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში დასრულდა. სამინისტროს დელეგაციის შემადგენლობაში ასევე შედიოდნენ შს მინისტრის მოადგილეები და სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელები.

ვიზიტის ფარგლებში, გიორგი მღებრიშვილმა მაღალი დონის შეხვედრები გამართა აშშ-ს სამართალდამცავი უწყებების ხელმძღვანელ პირებთან, მათ შორის: აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორ ჯეიმს კომისთან; აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს უფროსთან, სახელმწიფო მდივნის მოადგილე უილიამ ბრაუნფილდთან; აშშ-ს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ჩაკ როზენბერგთან; აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს დირექტორ კენეტ მეთერსთან და ჯორჯიის შტატის საგამოძიებო ბიუროს დირექტორ ვერნან ქანანთან.

გიორგი მღებრიშვილმა ამერიკელ სამართალდამცველებთან განხილულ შეხვედრებზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ბოლო პერიოდში განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ უწყებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის განვითარების კუთხით, როგორც საკანონმდებლო, ასევე ინსტიტუციონალურ დონეზე. შს მინისტრის თქმით, საქართველო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს აშშ-სთან მჭიდრო თანამშრომლობას ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. გიორგი მღებრიშვილმა ამერიკულ მხარეს მაღლობა გადაუხადა სამართალდაცვით სფეროში წლების განმავლობაში გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისთვის.

აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელმა ჯეიმს კომისმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავების სრული მხარდაჭერა გამოხატა და განაცხადა, რომ ამერიკული მხარე მზადაა, საქართველოს შს სამინისტროს საქესპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის თანამშრომლებისა და გამოძიებულების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში დაეხმაროს.

აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) დირექტორმა კენეტ მეთერსმა შს მინისტრთან შეხვედრისას აღნიშნა: „ჩვენ ვამაყობთ საქართველოს მთავრობის ნარმატებითა და თქვენთან ურთიერთობით. საქართველო არის სანიშნუში მაგალითი რეგიონში უსაფრთხოების დაცვისა და განვითარების კუთხით“.

გიორგი მღებრიშვილთან გამართულ შეხვედრაზე აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს წარმომადგენლებმა მზადყოფნა გამოთქვეს, უწყების განვითარების პროცესში საკუთარი წვლილი მომავალშიც შეიტანონ. მათ მხარი დაუჭირეს დაგეგმილ რეფორმებს და შემუშავებული პროექტების დეტალებით დაინტერესდნენ.


შს სამინისტროს დელეგაცია ასევე ეწვია საქართველოსთან დაძმობილებულ დეორჯიის შტატსა და ადგილობრივ სამართალდამცველებთან შეხვედრები გამართა, მხარეებმა ორი ქვეყნის საპოლიციო უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობა შეაჯამეს და სამომავლო გეგმები დასახეს.

აშშ-ში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტის დეტალებით ადგილობრივი მედიასაშუალებებიც დაინტერესდნენ. უურნალისტებთან ინტერვიუების დროს გიორგი მღებრიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ამერიკელი და ქართველი სამართალდამცველების წარმატებულ თანამშრომლობასა და მის მნიშვნელობაზე.

„ვერსიისთვის“



შენყალბის სკანდალის ახალი დეტალები



— ახლა ის მითხარით, ამ საქმეს რა კავშირი აქვს პოლიტიკურ პატიმრობასა და დევნილობასთან. რა ინტერესი ჰქონდა მაშინდელ ხელისუფლებას ნუგზარ ბოჭორიშვილისა და დანარჩენი 4 კაცის მიმართ, ვის წინააღმდეგაც ეს ე.წ. კოკაინის საქმე აღიძრა და რა შუაშია პოლიტიკური პატიმრობასთან ის ფაქტი, რომ ბოჭორიშვილი 2008 წლამდე რესპუბლიკური პარტიის წევრი იყო?

— საქმის მასალებში რესპუბლიკური პარტიის მიერ გაცემული ოფიციალური ცნობა ვნახე, რომ ნუგზარ ბოჭორიშვილი პარტიის წევრი იყო და სანევროსაც იხდიდა. პირადად ნუგზარისგან ვიცი, რომ სანევროს გარდა, ის მათ დიდ დარბაზს აძლევდა, სადაც სხდომებსა და ყრილობებს მართავდნენ. ასევე, ეხმარებოდა ავტომობილებით და თუ არ ვცდები, რამდენჯერმე, დაცვის წევრებიც გამოუყო, რომ მიშას დროს, ოპოზიციონერები დაცულები ყოფილიყვნენ. თუმცა ბოჭორიშვილი აცხადებს, რომ რესპუბლიკელების მთავარი დამფინანსებელი ის არ ყოფილა. შეიძლება, მასზე ზენოლის ერთ-ერთი მიზეზი რესპუბლიკელების დაფინანსებაც იყო, არც ამას გამოვირიცხავ, თუმცა მის გვარს მხარი არ დაუჭირა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა და ბოჭორიშვილი პოლიტიკელების სიაში ვერ შევიდა. ძალიან მოკლე დეტალები, სადა ჩანს მის საქმეში პოლიტიკური მოტივი: მას ცხრაჯერ დაუძახეს კუდ-სა და სოდ-ში, ამდენი და იმდენი გადაიხადე, მანქანები გვიყიდო და ა.შ. ამოვიდა კაცს ყელში, თეთრის გადამხდელი აღარ ვარ, თავი დამანებეთო, იმათ კი „შეუსრულეს“. სხვა რა ინტერესი უნდა ჰქონოდათ, თუ ბოჭორიშვილი ერთადერთი ბიზნესმენი იყო საქართველოში, ვინც ასე გააუბედურეს? ემუქრებოდნენ, ისეთ რაღაცას მოგვევთ, გაჩენის დღეს განანებთო და ასეც მოქცნენ. ესაა და ეს.

— რომელი ნაციონალი მაღალჩინოსნების გვარები ფიგურირებდა ბოჭორიშვილის წინააღმდეგ დათა ახალაიასა და სოსო თოფურაძის გარდა და კიდევ ერთი, რაზეც დღეს, რატომაც, არავინ საუბრობს — ჩხრეკისას, ბოჭორიშვილის სახლიდან ამოღებულ 2 მლნ ევრო სად გაქრა?

— როგორც გამოიკვეთა, ამ საქმეში დათა ახალაია და სოსო თოფურაძე იყვნენ. გამოძიებამ გააფორმა, რომ კოკაინის საქმეზე, ადგილზე, ბოჭორიშვილის სოფლის სახლიდან ამოიღეს 1 685 000 ევრო, 15 000 ევრო კი ადგილზე დარიგდა, იმ ოპერატიულმა მისიციამ, ვინც წამებაში მონაწილეობდა — დანარჩენი წამოიღეს. მე მივყვევი ამ თანხის კვალს, რადგან პროცესუალური წესია — როცა ნივთმტკიცების სახით თანხას ამოიღებ, იგი კანონის მიხედვით უნდა განათავსო. მივწერე ეროვნულ ბანკსაც, საზინასაც და მომივიდა პასუხი, რომ არც ერთ მათგანში ეს თანხა არ განთავსებულა. ანუ, ეს ფული ვილაცის კაბინეტში იდო, ეს „ვილაც“ კი დათა ახალაია. ეს მასალები გადავუგზავნე პროკურატურას და ძიება დაიწყო — აღმოჩნდა, რომ 700 000 ევრო არ არის ადგილზე — მილიონი კი ადგილზეა.


— ეგ „ადგილი“ სად არის?
— არ ვიცი.
— არ ვიცი, სად არის მილიონი, მაგრამ ვიცი, რომ 700 000 ევრო ახალაიას აქვს?
— დიახ, ზუსტად ვიცი, დათა ახალაიამ წაიღო ეგ ფული, რომლითაც აგენტებს იბირებდა. ეს ინფორმაცია კუდის ყოფილი თანამშრომლებისგან მაქვს.
— რა ეტაპზეა ამ საქმის გამოძიება და როგორ გამოდის, რომ გაქვთ დოკუმენტები ბანკებიდან, ახალაია კი ქვეყნის

გარეთაა ფულით. რას აკეთებს ამ დროს მასთან ერთხელ უკვე დამარცხებული საქართველოს პროკურატურა?

— ამ თემაზე პროკურატურას არაერთხელ მივწერე, გამაგებინეთ, საქმე როგორ მიმდინარეობს-მეთქი და თავიდან მარტივად მომიხორეს — შენ მხარე არ ხარ, არც დახარალებული სტატუსი გაქვს და საქმის კურსში ვერ ჩაგაყენებო. ასე წაიღო ახალაიამ ბედნიერად ეს ფული და კაციშვილმა არ მოიკითხა. თუ ამ რომელიმე საქმეს რეაგირება არ მოჰყვა, პირდაპირ გეუბნებით, პროკურატურას არ დავზოგავ — რასაც ვიზამ, გამოჩნდება. იურიდიულად, ვერაფერსაც ვერ ვიზამ ამ ფულის დაკარგვის საქმეზე, რადგან მხარე მართლა არ ვარ.
— პროკურატურა, პირველ რიგში, თავად უნდა იყოს ამ საქმით დაინტერესებული.

— ეს შეიძლება იყოს პირისთვის მატერიალური ზარალის მიყენების დანაშაული, რომელსაც მაღალი თანამდებობის პირი სჩადის. ნებისმიერ შემთხვევაში, ახალაია ცუდ დღეშია. თუ დადგინდა, რომ ეს ფული ბოჭორიშვილს უკანონოდ ჩამოართვეს, ე.ი. ახალაიამ მას თანხა პირადად „აახია“, ხოლო თუ სასამართლომ დაადგინა, რომ კანონიერად ჩამოართვეს, მაშინ ეს თანხა ქვეყნის ბიუჯეტში უნდა წასულიყო. ამ შემთხვევაში კი გამოდის, დათა ახალაიამ ბიუჯეტს 2 მლნ ევრო მოპარა. მეც სწორად ამ კითხვას ვსვამ — რა ეტაპზეა გამოძიება და რას აკეთებს პროკურატურა ამ საქმეზე? არ მინდა, ვინმეს ცილი დავწამო, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, დღეს ამ სკანდალის დანებებაში ახალაიას ხელიც ერიოს.

ამაზე საინტერესო კი ჩემთვის ერთი დეტალია, რომელიც პროკურატურის პრესსამსახურის უფროსმა, ნათია სუხიაშვილმა გაასაჯაროვა: თურმე, ელისაშვილი პროკურორის მოადგილეს შეხვედრია და თავისი ახლობლის სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც ფულის დაბრუნებისა თუ ამოღების ფაქტს ეხებოდა, უსაუბრიათ. მოვიტხოვ, პროკურატურამ და ელისაშვილმა ოფიციალური განცხადება გააკეთონ: რა თემაზე იყო მისული ელისაშვილი პროკურორის მოადგილესთან, რა თანამდებობაზე მუშაობდა მაშინ და რა თანხების ამოღებას შეეხებოდა ეს მისი ახლობლის საქმე. ჩვენ რომ მოგვდგა — რეკომენდაციები რატომ შეიტანეთ შეწყალებაზე და მისიჯები



რატომ გამოგვიგზავნეთო, თვითონ როგორ იქცევა? მისნაირი რომ ვიყო, დღესვე გავაკეთებდი განცხადებას, საქმის გაჩარხება და ფულის აღება უნდოდა-მეთქი, მაგრამ ამას არ ვამბობ და ვითხოვ, ოფიციალურად განმარტონ, რა ხდება. მე და ნუგზარ ბოჭორიშვილს კატეგორიული პოზიცია გვაქვს — ამ საქმეს ბოლომდე მივყვებით და ან ჩვენ დავისჯებით, ან ისინი, ფრე არ იქნება! 1 იანვრამდე, პირობითი ვადა მივეცით პრო-

კურატურას და ამ შეწყალების საქმეზე კონკრეტული შედეგი თუ არ დადგება, ანასტასია ზაუტაშვილი პირდაპირ იმუქრება, რომ თვითდაზიანებას მიიყენებს და ვენებს გადაიჭრის.

— ამ დღეებში საუბრობდნენ თქვენს პოლიტიკურ ინტერესზეც და იმაზე, რომ „ოცნების“ მაჟორიტარობა გდომებით საგარეჯოში.

— მერე, რა არის ამაში დასაძალი? „ოცნების“ დამფუძნებელი ვიყავი, დაარსების დღიდან პარტიაში ვარ და შუალედური არჩევნების დროს, მართლაც იყო საუბარი საგარეჯოში მაჟორიტარად კენჭისყრაზე. მე პარტია „ოცნების“ კანდიდატი ვიყავი, ქალბატონი თამარ ხიდაშელი — რესპუბლიკელების. ამაზე ახლა რატომ დაიწყო საუბარი, თანაც უარყოფით კონტექსტში, არ მესმის. აქ დასრულდა ეს თემა და არც იმაზე ყოფილა საუბარი, საგარეჯოში 2016 წელს მოიარები მაჟორიტარად. სხვათა შორის, ისიც გავიგე, რომ თურმე „ოცნების“ მიერ ზაუტაშვილის საქმეში ჩასმული ადვოკატი ცყოფილვარ. ოღონდ ერთი დეტალი ვერ გაითვალისწინეს — ამ საქმეზე 2010 წლიდან ვარ, ამ დროს კი, თვითონ ბიძინა ივანიშვილმაც არ იცოდა, რომ „ოცნება“ დაფუძნდებოდა.

— ისე, კიდევ ერთ პოლიტიკურ კონტექსტზე ვისაუბროთ — არ გაგიკვირდათ, საკრებულოს დეპუტატის განცხადების საფუძველზე გამოძიება მაშინვე რომ დაიწყო და 30 კაცზე მეტი დაიკითხა 2 დღეში, როცა 2012 წელს, შეწყალების სიების შედგენისას, ნაციონალური მოძრაობის დეპუტატები ზუსტად ამ ეჭვებზე პარლამენტის ტრიბუნლიდან საუბრობდნენ და რეაგირება არავის ჰქონია. ეს რაზე მიანიშნებს?

— არ მაინტერესებს არც პროკურატურა, არც ელისაშვილი, არც ქორიძე — მე მხოლოდ ჩემი ბრალდებულების ინტერესები მაინტერესებს და პირდაპირ გეტყვით: ელისაშვილისა და ქორიძის ამ უპასუხისმგებლო თუ მიზანმიმართულმა აქციამ და რეალურად, კამპანიის დაწყებამ, პირველ რიგში, ხელყო ჩემი დაცვის ქვეშ მყოფთა უფლებები.

— ვის წინააღმდეგ დაიწყეს ეს კამპანია?

— ერთი მხრივ, ალბათ, ხელისუფლების, მეორე მხრივ კი, ეჭვი მაქვს, ბიჭები საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებოდნენ. მაგალითად, ელისაშვილს სურს, პარლამენტის მაჟორიტარობა და წამებულის, მესიის მახვილის და ლიდერის იმიჯი უნდა მოიწიროს. ეს თუ არ მოხდა, ძალიან პატივს მანსი ექნება, რადგან მარტო ხეების მოჭრის გაპროტესტებითა და სკვერების დაცვით, მიზანს ვერ მიაღწევს. მიზეზი არაერთი შეიძლება იყოს: პოლიტიკური, ფინანსური, იქნებ, ვილაც მართავს და შიშის ფაქტორიც მოქმედებს. ფაქტია, ეს არასწორი ნაბიჯი იყო და რაც უნდა ჰქონოდათ მიზნად, იმაზე უნდა ეფიქრათ, რომ ამით ბრალდებულთა პერსპექტივას ხაზი საბოლოოდ გადაუსვებს. ეს არ უნდა ეკადრათ, მით უმეტეს, შეწყალების კომისიის ყოფილ და მოქმედ თავმჯდომარეებს. ამ ხალხის რეზონანსულ საქმეებს ახლა ყველა დაუფრთხება და აღარც განიხილავენ, შეწყალებაზე ხომ საერთოდ საუბარი ზედმეტია.

— მაგრამ, ლოგიკურად, ვინ რა მოიგო ამ სკანდალის აგორებით — ელისაშვილმაც (რად მდგომარეობაში ჩაიყენა თავი, ნაავო „ოცნებამაც“), ან დანაშაულის დადგენის შემდეგ მისი რეპუტაციის დაზიანების რეჟიმში უნვეთ ყოფნა. ვის ინტერესებში შედიოდა ეს ამბავი?

— ალექსო ჰგონია, რომ ამით რაღაც მოიგო, მაგრამ ცოტა ხანში, სისხლის სამართლის დამნაშავე გახდება. 370-ე მუხლით, ცრუ ჩვენების მიცემისთვის გასამართლდება. ქორიძე და ელისაშვილი ცრუ ჩვენებისთვის პასუხისმგებლობაში მიცემის კანდიდატები არიან, სხვა გამოსავალი ამ საქმეში არ იქნება! გარდა ამისა, არსებობს დანაშაულის დაფარვა და მისი შეუტყობინებლობა და ელისაშვილი ამ მუხლით გასამართლების კანდიდატიცაა.

— პოლიტიკურ ენაზე რომ შევაფასოთ, 2016 წლის დასაწყისში, საარჩევნო წელს, რისთვის აგორდა ეს წლებისწინანდელი ამბავი?

— არ გამოვირიცხავ, ეს იყოს წინასაარჩევნო მართონი, რომელიც ნაციონალების, ელისაშვილის, ქორიძისა და პრეზიდენტ მარგველაშვილის მხრიდან დაიწყო. ეს ნამდვილად არის ამ სკანდალის ერთ-ერთი სერიოზული ვერსია ამ დიდი საერთო პოლიტიკური თამაშიდან.

პერსონალიზი

პერიის კეთილმოწყობის სამსახურის ქვეყნაგაყის განყოფილებაში რეკონსტრუქციის დაწყება

თბილისის მერია, კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლების დაკავებებსა და დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებს. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, თბილისის მთავრობა რეაგირების გარეშე არ დატოვებს რაიმე დანაშაულის ნიშნების შემცველ არც ერთ ფაქტს: „როგორც ცნობილია, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ქრთამის მოთხოვნისა და აღების ფაქტზე დაკავებულია თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ექსპლუატაციის განყოფილების თანამშრომელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით, ექსპლუატაციის განყოფილებაში დაიწყო რეორგანიზაციის პროცესი, რომელიც ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდება. რაც შეეხება თავად ფაქტს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ თბილისის მერია საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში გამოძიებასთან მაქსიმალურად ითანამშრომლებს.“



ამასთან, მოვუწოდებთ თბილისის მერიის სტრუქტურაში მომუშავე თითოეულ თანამშრომელს, პირადი ინტერესებისთვის ნუ გამოიყენებენ უწყების სახელს და ნუ შელახავენ მერიისა და თანამშრომლების რეპუტაციას. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ თბილისის მთავრობა რეაგირების გარეშე არ დატოვებს რაიმე დანაშაულის ნიშნების შემცველ არც ერთ ფაქტს.“

„პია“

მაია მიხელაძე

593-51-90-12

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი მთავრობას საგადასახადო კოდექსში ცვლილებების გამო დაუპირისპირდა. აღმასრულებელი ორგანო პარლამენტისგან უფლების მინიჭებას ითხოვს, რათა სამეწარმეო საქმიანობის ის სახეები განსაზღვროს, რომლებიც 3%-იანი საშემოსავლო გადასახადით ისარგებლებენ. დავით უსუფაშვილს მიაჩნია, რომ მთავრობის ეს ინიციატივა ქვეყნის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, რადგან მენარმეთა თანასწორობის პრინციპს არღვევს. რაც მთავარია, მთავრობისთვის ასეთი უფლების მინიჭება კორუფციის რისკს აჩენს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების კანონპროექტის ინიციატორი მთავრობა, ხოლო ავტორი სამი უწყება — ფინანსთა, იუსტიციის, ასევე სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროებია. ამ კანონპროექტით, საგადასახადო კოდექსში საკმაოდ სერიოზული ცვლილებები იგეგმება, მაგალითად, სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზზე სპორტსმენების მიერ მოპოვებული ფულადი ჯილდოები აღარ დაიბეგრება. თუმცა პარლამენტის თავმჯდომარის აღშფოთება საგადასახადო კოდექსის 95-ე მუხლისთვის მე-3 ნაწილის დამატებას მოჰყვა, რომლითაც: „საქართველოს მთავრობას ენიჭება უფლებამოსილება, განსაზღვროს საქმიანობის სახეები, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც, პირებს ექნებათ შემოსავლის 3%-იანი ფიქსირებული გადასახადით დაბეგრვის რეჟიმის გამოყენების უფლება“.

საგადასახადო კოდექსის ცვლილებების კანონპროექტის განმარტებით ბარათში მითითებული არ არის, რატომ ითხოვს მთავრობა კონკრეტულად ასეთ ცვლილებას. რის საფუძველზე უნდა მიანიჭოს პარლამენტმა აღმასრულებელ ორგანოს უფლებამოსილება, რათა ამ უკანასკნელმა საქმიანობის ის სახეები განსაზღვროს, რომლებიც 3%-იანი ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით დაიბეგრება. არადა, ამავე კოდექსით დადგენილია, რომ საშემოსავლო გადასახადი 20%-ია.

„ვერსია“ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, თემურ მაისურაძეს დაუკავშირდა:

„დარგობის მიხედვით, განსხვავებული საგადასახადო რეჟიმის არსებობა, ყოველთვის სასიხარულოა. ერთი მხრივ, თითქოს კეთილშობილურ ნებას, სხვა სუბიექტები საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ იყენებენ ხოლმე. აქედან გამომდინარე, როდესაც სახელმწიფოში განსაკუთრებული შედეგით წესდება, ან უნდა დანერგოს, ეს მყარად არ უზღუდველი უნდა იყოს. ზოგადად, ამგვარი ცვლილება სპეციფიკური, რადგან უამრავი ადამიანი მოიძებნება, ვინც იტყვის, რა დაამავა ჩემმა დარგმა, რატომ არ უნდა დაიბეგროს ისიც 3%-ით? სწორედ ამიტომ, ასეთი დიფერენცირებული მიდგომა ყოველთვის საკმაოდ იქნება და ამგვარი სელექციონის, ამავე მიზეზით ვენინალდებები. თუ სახელმწიფოს სურს, დაეხმაროს გარკვეულ მიმართულებას, ამისთვის დამატებით სახსრები უნდა გამოყოს, მაგრამ ესეც კონკრეტული სპეციფიკიდან და მიზნებიდან გამომდინარე უნდა განხორციელდეს. თუმცა ესეც მყარი არ უნდა იქნებოდეს და დასაბუთების საფუძველზე უნდა დასაბუთდეს, რადგან ბიზნესსექტორის წარმომადგენლები საკმაოდ კრეატიულები არიან, ისინი ადვილად ნახულობენ სკვლებს, რათა ასეთ კანონში მათთვის ხელსაყრელი „გასაძვრომი“ ნახონ და საკუთარ თავზე მოაგონონ. ეს ცვლილებები ჯერ მხოლოდ პირველი მოსახლეობის განვიხილეთ. იმედია, მეორე მოსმენისთვის, მთავრობამ ამ განცხადებას შეცვლის“.

„ვერსია“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაუკავშირდა და გაარკვია, რომ მთავრობა გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს. მეტიც, ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში „ვერსიას“ განუცხადეს, რომ ესაა მხოლოდ რედაქციული შინაარსის ცვლილება და კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება: „საქართველოს საგადასახადო კოდექსის 95-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ამჟამად მოქმედი რედაქციის შესაბამისად, ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის სახეების მიხედვით, შეიძლება იყოს დასაბეგრის საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 3%. საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პროექტით, მხოლოდ ზუსტდება, რომ ამ შემთხვევაში, საქმიანობის სახეებსა და პირობებს, საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს საქმიანობის ადგილის მიხედვით. ესაა დაზუსტებით, რედაქციული ხასიათის ცვლილება. ამ ცვლილებით არ ნებსდება არსებული განსხვავებული ახალი გადასახადი და იგი არანაირ წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან“.

პარლამენტსა და მთავრობას შორის, საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების გამო ატეხილი დავა ისეთ ლაბორინთში გადაიხლართა, რომ იქიდან თავის დასაღწევად, იკაროსის გასანთლული ფრთები აღარ გვიშველის. ანტიკონსტიტუციური თუ არა მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა, ამას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დაადაგენს. მანამდე კი „ვერსია“ საქართველოს კონსტიტუციასა და საგადასახადო კანონმდებლობაში გარკვეულ ექსპერტს, ლევან ალაფიშვილს დაუკავშირდა.

— ბატონო ლევან, ეწინააღმდეგება თუ არა მთავრობის ეს ინიციატივა საქართველოს კონსტიტუციას?

— საქართველოს კონსტიტუციით, კანონმდებლობა და გადასახადები და კავშირებული საკითხები, მათ შორის, ამ გადასახადების შემოღება, ტარიფის ცვლილება, შედეგადად, თუ ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხი, უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს კომპეტენციაა. მართალია საგადასახადო კანონმდებლობა ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაა, მაგრამ კონსტიტუციით კონკრეტულად, რომ ესაა კანონით მინიჭებული კომპეტენცია. კანონს კი საქართველოს პარლამენტი იღებს, მაგრამ მთავრობის ამ ინიციატივით კარგად ჩანს, რომ პარლამენტის მიერ კანონის მიღების კომპეტენცია უკვე ეჭვქვეშ დამდგარა. პასუხი მარტივია, მთავრობამ კარგად იცის, რომ გარდა კონსტიტუციისა, ანალოგიური ჩანანური საგადასახადო კოდექსშიცაა და რაც მთავარია, ორგანულ კანონშიც, რომელსაც „თავისუფლების ქართია“ ჰქვია. რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ

მთავრობა პარლამენტისგან კონსტიტუციის დარღვევას ითხოვს



ნაღმები საგადასახადო კანონპროექტში

განმარტებას, თითქოს ეს რედაქციული ხასიათის ცვლილებაა, თუ ასეა და რედაქციული ცვლილება მართლაც საჭიროა, ეს კანონში უნდა შევიდეს. არადა, ამ კანონპროექტის ინიციატორები გვთავაზობენ, კანონში ჩაიწეროს, რომ მთავრობა, ანუ აღმასრულებელი ორგანო იმსჯელებს, დააზუსტებს და მიიღებს გადაწყვეტილებას, ვინ დაიბეგროს 3%-ით. მთავრობა კი ის ორგანოა, რომელსაც კონსტიტუციის მიხედვით, საკანონმდებლო საქმიანობის, ანუ კანონის მიღების უფლება არ აქვს! ჩვენი ხელისუფლება საკმაოდ ხშირად უპირისპირდება საკონსტიტუციო რეგულაციებს, რაც სახიფათოა და ეს არ არის პირველი, ან ერთადერთი შემთხვევა.

— ამ მხრივ, ეროვნული ბანკის შესახებ კანონი მასხენდება...

— არა მარტო ეროვნული ბანკის შესახებ, მთავრობას მცდელობა ჰქონდა, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროშიც მიეღო ანტიკონსტიტუციური რეგულაციები, კომერციული ბანკების ნაწილში, საბანკო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საკითხებიც ასეთი მცდელობა იყო. თუმცა ჩემთვის, რომლისთვისაც კანონისა და კონსტიტუციის უზენაესობა სახელმწიფოსა და ინსტიტუციური დემოკრატიის გარანტიაა, ერთი მცდელობაც კი საკმარისია, რათა განგაშის ზარი შემოგვკრათ. უმთავრესი ინსტიტუტისადმი, ანუ კონსტიტუციისადმი დამოკიდებულება ფრთხილი და მოზომილი უნდა იყოს. თუ კანონმდებლობაში რაღაც შესაბამისი, იმავე კანონმდებლობაში ცვლილებით უნდა შევიდეს და არა კომპეტენციის ნაგლეჯით, იქნება ეს პრეზიდენტი, თუ პარლამენტი. ამ ხელისუფლების კონსტიტუციასთან ჭიდილის კონტექსტში, ნათლად იკითხება, რომ მთავრობა, მმართველი პოლიტიკური გუნდი, კონსტიტუციის უგულვებელყოფით ცდილობს, რათა სხვა კონსტიტუციური ინსტიტუტების — პარლამენტისა და პრეზიდენტის უფლებამოსილებების მიტაცებით, სრულიად გაძლიერდეს. არადა, კონსტიტუციის ხარჯზე, ასეთი გაძლიერება დაუმეგობრდება!

— ეს ცვლილება მენარმეებს შორის თანასწორობის პრინციპსაც არღვევს და კორუფციის ნიშნებსაც აჩენს, რატომ უნდა დაიბეგროს კონკრეტული მენარმე 3%-ით, ხოლო დანარჩენები 20%-ით?

— კომენტარი მარტივია და პასუხს ისევე კონსტიტუციაში ვნახავთ. მკაფიო და მოკლე ჩანანერია და ვფიქრობ, ყველასთვის გასაგები უნდა იყოს, რომ ინდივიდუალური საგადასახადო შელა-

ვათების დაწესება დაუშვებელია! ამ შემთხვევაში, პარლამენტიც კი შეზღუდულია, რომ კონკრეტული დარგისთვის ინდივიდუალური საგადასახადო შედეგები დააწესოს ან ასეთი შედეგებით განსაზღვროს. კანონპროექტის ინიციატორები კი ითხოვენ, მთავრობას, ანუ პოლიტიკურ ორგანოს და თუ უფრო დეტალურად ვინაობს, ფინანსთა სამინისტროს, მიენიჭოს უფლება, ის საქმიანობა განსაზღვროს, რომელიც 3%-ით დაიბეგრება. არადა, ესაა სამინისტრო, რომლის სისტემაში საგადასახადო ადმინისტრირება შედის და ნახეთ, რას ვიღებთ: ერთი მხრივ, მკაცრ საგადასახადო ადმინისტრირებით, მეორე მხრივ, უწყებას, რომელიც შედეგებზე ანგებს. ერთ სისტემაში ამ ორი, ურთიერთგამომრიცხავი საკითხის თავმოყრა, აპრიორი, საფრთხისა და არაკეთილსინდისიერი ქმედებების შემცველია, კორუფციული რისკების გაზრდაზე რომ აღარაფერი ვთქვათ!

— ბატონო ლევან, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მთავრობის ასეთი ინიციატივა რას ნიშნავს?

— ვიდრე პასუხს გაცემთ, ჯერ მთავრობას ვურჩევ დაფიქრდეს, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღების დროს, თავისივე სტრუქტურაში მყოფ ბიზნესომბუდსმენსაც დაეკითხოს, რომელიც მთავრობის ბევრ გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება. მართალია, ხელისუფლება ბიზნესთან კომუნიკაციას არ უჩივს და ჯანსაღ ბიზნესგარემოზეც თავმოყმონდა საუბრობს, მაგრამ პოლიტიკურად ცოტა უხერხული ხომ არ არის, რომ ბოლო დროს, სწორედ მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებს, სწორედ ბიზნესომბუდსმენი ეწინააღმდეგება? ბიზნესსა და არასამთავრობო სექტორს თავი დაეხვეწებო, მაგრამ როგორ ახერხებს მთავრობა, რომ არც საკუთარ ბიზნესომბუდსმენს უსმენს? რაც შეეხება თქვენს კითხვას, რა თქმა უნდა, წინასაარჩევნო პერიოდში, ამგვარ გადაწყვეტილებას აქვს პოტენცია, ხელისუფლებამ კონკრეტული ბიზნესები მოიხადლიეროს. თუ ამ ცვლილებებს წინასაარჩევნო კონტექსტში განვიხილავთ, შესაძლოა, ეს არაჯანსაღი, პოლიტიკური ფინანსების მოზიდვის მექანიზმადაც იქცეს. ბიზნესსუბიექტები შედეგათს მიიღებენ, ოღონდ „განსხვავებას“ უკვე პოლიტიკური მიზნების გამოიყენებენ. თუმცა ეს ყველაფერი ვარაუდია, მართალია, ამგვარი რისკი არსებობს, მაგრამ მთავრობა სწორედ ამ რისკებზე უნდა დაფიქრდეს და გადაწყვეტილება ისე მიიღოს.

ვერსიისი

ერიკონული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას 8.0 პროცენტამდე ზრდის



საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 50 საბაზისო პუნქტით გაზრდის შესახებ. ამ დროისთვის, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8.0%-ია. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილება ეყრდნობა მაკროეკონომიკურ პროგნოზებს, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება, დადებითად უნდა აისახოს ინფლაციური მილოდინის შემცირებაზე. თუ სხვა დამატებითი შოკი არ გამოიკვეთა, პოლიტიკის გამკაცრება მომდევნო პერიოდში მოსალოდნელი არ არის. მიმდინარე პროგნოზის მიხედვით, ინფლაცია 2016 წლის პირველ კვარტალში ეროვნული ბანკის მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღლა შენარჩუნდება. მომდევნო პერიოდში ინფლაციის მაჩვენებელი ეტაპობრივ კლებას დაიწყებს და 5 პროცენტთან მიზნობრივ ნიშნულამდე წლის მეორე ნახევარში შემცირდება.

ნოემბერში სამომხმარებლო ფასების ნლიურმა ზრდამ 6.3% შეადგინა. ინფლაციის ზრდის განმსაზღვრელი კვლავ მინოდების მზარდობა მოქმედი ფაქტორებია. კერძოდ, ნარმოების შუალედური ხარჯების გაძვირება და ცალკეულ იმპორტირებულ საქონელზე ფასის ზრდა. ინფლაციის მაჩვენებელზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ასევე, ელექტროენერჯის გადსახადის ერთჯერად მატებას. ინფლაციის ზრდას ზღუდავს სუსტი ერთობლივი მოთხოვნა და მსოფლიო ბაზარზე გათავსებული ნავთობისა და სურსათის ეფექტი.

რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა პროგნოზირებულიდან შესაბამისია. წინასწარი მონაცემებით, წლის პირველ 10 თვეში ეკონომიკის რეალურმა ზრდამ 2.8% შეადგინა. საგარეო სექტორი კვლავ რჩება ეკონომიკური ზრდის შემაფერებელ ფაქტორად. რეგიონში არსებული მძიმე ეკონომიკური ვითარება ნეგატიურად აისახება საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებზე. განვლილი პერიოდის მანძილზე ეკონომიკური ზრდა, ძირითადად, შიდა მოთხოვნით იყო განპირობებული, თუმცა ფულადი გზავნილების შემცირება და უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების გამო მომსახურების ტვირთის ზრდა, მოთხოვნის შესუსტებაზე მოქმედებს. პოზიტიური ტენდენციები გრძელდება საგარეო იმპორტის კორექტირების პროცესი. ბოლო სამ თვეში იმპორტის ნლიურმა კლებამ 18% შეადგინა (ერთჯერადი იმპორტის გათვალისწინების გარეშე). შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არსებული საგარეო შოკის ეფექტი კურსზე ამონურულია. სხვა თანაბარ პირობებში, არსებული საგარეო შოკიდან კურსზე დამატებითი ზეწოლა მოსალოდნელი არ არის. საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და გამოიყენებს ყველა საშუალებას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. მონეტარული პოლიტიკის შემდგომი ცვლილება დამოკიდებული იქნება ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელზე, მასზე მოქმედ ფაქტორებზე, გლობალურ და რეგიონალურ ეკონომიკურ გარემოზე და ზოგადად ეკონომიკაში არსებულ ვითარებაზე. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2016 წლის 3 თებერვალს გაიმართება.

შსს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის კომპონენტებზე საინფორმაციო კვირეულს იწყებს

#1 ქულების სისტემა

- კონვენციური მართვის მონიტორინგის 100 ქულა მიენიჭება
ქულების დაკლება მოხდება პროგრამულად, საგარეო მართვის გამონერგისთან ერთად (მძღოლი დაკარგვის შემთხვევაში კარგავს ქულებსაც)
ვიდეოკამერების და უკონტაქტო პატრულების მეშვეობით ქულების დაკლება არ მოხდება
წლის განმავლობაში ქულების ამონაჯგუფში მართვის მონიტორინგის უქონლობა უქმდება და მისი მოპოვება შესაძლებელი იქნება გამომცდის ხელახლა ჩაბარების შემთხვევაში
ქულების ოდენობა თითოეულ დარღვევაზე განისაზღვრება ამა თუ იმ დარღვევის რისკისა და მისი სიხშირის გათვალისწინებით

შინაგან საქმეთა სამინისტრო საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის კომპონენტებზე საინფორმაციო კვირეულს იწყებს

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილის ინიციატივით, შსს სამინისტრომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროექტი შეიმუშავა. პროგრამა სხვადასხვა მნიშვნელოვანი კომპონენტისაგან შედგება.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრევენციული მიმართულების გაძლიერების მიზნით შემოღის მართვის მონიტორინგის მინიჭებული ქულათა სისტემა. საყურადღებოა, რომ მსგავსი მოდელი მსოფლიოს 21 ქვეყანაში, ასევე, ამერიკის შეერთებულ შტატებში, წარმატებით მოქმედებს და აღნიშნული კანონპროექტი სწორედ დასავლეთში აპრობირებული მექანიზმის ძირეულ შესწავლასა და ანალიზს ეფუძნება.

გვეყურებს განვმარტოთ, რომ პროექტის თანახმად, ყოველი კალენდარული წლის 1 იანვარს მართვის მონიტორინგის 100 ქულა მიენიჭება, რომელიც ძალაში იქნება იმავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საგზაო მოძრაობის სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა გამოიწვევს მართვის მონიტორინგის მინიჭებული ქულების შემცირებას, ხოლო ქულათა რაოდენობის მთლიანად ამოწურვა - მართვის უფლების გაუქმებას (შენიშვნას). ასეთ შემთხვევაში, მართვის უფლების ხელახალი მოპოვებისთვის მოქალაქე შესაბამისი კატეგორიის თეორიული გამოცდა უნდა ჩააბაროს. გამოცდის ჩაბარებას ის მართვის უფლების გაუქმებიდან 2 თვის შემდეგ შეძლებს.

აქვე გვსურს განვმარტოთ, რომ ქულების შემცირება არ მოხდება ვიდუროვესტრატორის და უკონტაქტო პატრულირების დროს გამოწვევით. ქვეთით. დამრღვევ მძღოლს ქულები მხოლოდ საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული დარღვევისთვის შეუმცირდება. აღსანიშნავია, რომ ქულების დაკლება მოხდება საჯარო ქვეთის გამოწვევის პარალელურად. მაგალითად, მუხლი 1181 - ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოწვევების, აღნიშნული მუხლის დარღვევის შემთხვევაში, მგზავრს 100 ქულიდან გამოაკლდება 10 ქულა და ამასთან დაჯარიმდება 30 ლარით.

რაც შეეხება კონკრეტულ დარღვევაზე ქულების მინიჭების კრიტერიუმებს, სამინისტრომ პროგრამის შემუშავებისას გაითვალისწინა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და ქულების ოდენობა თითოეულ დარღვევაზე განისაზღვრა ამა თუ იმ დარღვევის რისკიდან და მისი ინტენსივობიდან გამომდინარე.

მართვის მონიტორინგის მინიჭებული ქულათა სისტემის ეფექტიანად ამოქმედების მიზნით, მათ შორის, ელექტრონული სისტემის დანერგვის, ქულათა მინიჭების, მათი შემცირებისა და ამოწურვის, აგრეთვე, მართვის უფლების მქონე პირთა წინასწარი ინფორმირებისათვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს შესაბამისი ადმინისტრირების ნებსების შემუშავებასა და დამტკიცებას.

შსს-მ უკანონო

ხეხილსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა აპოილო



შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს მეოთხე განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული თეიმურაზ მ. თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრევისას, „სტეკინის“ ტიპის ავტომატური პისტოლეტი და 20 ცალი საბრძოლო ვაზნა აპოილეს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

„ვერსიანუსი“

აქიმაგზე თავდასხმის არაოფისიური სტაჟისტიკა



გიგი წერეთელი: „არ შეიძლება, ექიმი შეშინებული იყოს და ჰქონდეს განცდა, რომ ერთ დღეს ლინჩის წესით გაასამართლებენ“

გაამკაცრებს თუ არა კანონს პარლამენტი

თამარ ლომსაძე 599-20-94-01
ბოლო პერიოდში ექიმებზე თავდასხმა თითქოს ნორმად იქცა და მსგავსი ფაქტებიც აღარავის აკვირვებს, მაგრამ, როცა საქმე სიცოცხლის ხელყოფამდე მიდის, ალბათ დგება დრო, ვილატებმა ფართოდ გაახილონ თვალები. ორიოდ დღის წინ, კიდევ ერთი ექიმი გამოასალმეს სიცოცხლეს. ფაქტს შინაგან საქმეთა სამინისტროც ადასტურებს, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავე დაკავებულია და საქმეც განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვის მუხლითაა აღძრული, სიმშვიდის საფუძველი ნამდვილად არ გვაქვს, რადგან კვლავ უპასუხოდ რჩება ლოგიკური კითხვა — რატომ იქცნენ სასწრაფოს თუ სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლები სამიზნედ და ვინ უნდა დაიცვას ისინი?

არცთუ დიდი ხნის თავად ექიმებმა გამართეს საპროტესტო აქცია — თავს დაცულად არ გვრძობთ და მოითხოვს შემუშავებული შესაბამისი კანონი, რათა ექიმიც ისეთივე ხელშეუხებელი ყოფილიყო, როგორც პოლიციელი.

სხვა საკითხია, რა შეიცვალა ამ პროტესტით? ჩვენ კი თავდასხმის რამდენიმე გახმაურებულ ფაქტს ვაგახსენებთ: ვაშლიჯვრის ასახვევში სასწრაფოს ექიმებს 20 წლის პაციენტი დაესხა თავს დანით, მოგვიანებით კი მას მამაც შეურთდა. ექიმებმა მოასწრეს მანქანაში შესვლა და დამნაშავეებმა საბურავები დაჭრეს, საქმე კი სსკ-ს 1897-ე მუხლით აღიძრა, რაც ნითვის დაზიანებასა და განადგურებას გულისხმობს;

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას თავს ვარკეთილშიც დაესხნენ, გამოძახებაზე მისულ ექიმს მამაკაცი დახვდა, რომელსაც ხელში ქვა ეჭირა და სასწრაფოს მძღოლს ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა; უფრო ადრე ინციდენტი იაშვილის კლინიკაში მოხდა, სადაც თავდამსხმელმა დეპარტამენტის ხელმძღვანელს მრავლობითი ჭრილობები მიაყენა.

...და ეს სრული სურათი არ გახლავთ, გასაგებია, რომ ხშირად ექიმებიც სცოდავენ და თუნდაც უმნიშვნელო შეცდომას პაციენტის სიცოცხლე ეწირება, მაგრამ როდესაც თავდასხმა სასწრაფოს ექიმზე ხდება, რომელიც 24-საათიან რეჟიმში მუშაობს და ათასობით ადამიანს სიცოცხლეს უნარჩუნებს, ეს არანაირ ჩარჩოში არ ვდებთ.

რა ინვესტაცია ატარებს თურხახალიანთა მიმართ და რამდენად ხშირია თავდასხმის ფაქტი, „ვერსიას“ სამედიცინო ბრიგადების მონიტორინგის სამსახურის უფროსი ლევან შავიძე ესაუბრება:

- სამწუხაროა, როცა ასეთი ფაქტები ხდება... ხშირ შემთხვევაში აგრესია მათგან მოდის და ახლა უკვე მსგავს ქმედებას უყურადღებოდ აღარ ვტოვებთ — პატრულს მივმართავთ.
— ექიმებზე თავდასხმის ფაქტებზე აღძრული საქმეები ახლა რა ეტაპზეა?
— როგორც ვიცი, აბსოლუტურად ყველა ჯარიმდება... თუმცა გააჩნია, რა სიმძიმისაა ესა თუ ის თავდასხმა.

— სტატისტიკა თუ გაქვთ — რამდენი თავდასხმა მოხდა თუნდაც სასწრაფოს ექიმებზე?

— ზუსტ რიცხვს ვერ გეტყვი, თუმცა უდავოა — თვეში 1-2 შემთხვევა ფიქსირდება...

— და რა მექანიზმი არსებობს მსგავსი ქმედებების პრევენციისთვის?

— პატრულს ვიძახებთ, თუ საეჭვო ვითარება გვხვდება. წინასწარ კი როგორ განესაზღვრავთ, რა დაგვხვდება გამოძახებაზე.

— ბატონო ლევან, ისიც ფაქტია, რომ ექიმებიც სცოდავენ და ამ შემთხვევაში, დაზარალებული პაციენტისა თუ ოჯახის წევრის აგრესია მოსალოდნელიც კია...

— სასწრაფოს ექიმებზე ეს თემანაკლებად ვრცელდება. ჩვენ გვხვდებიან პაციენტები, რომლებიც ისეთი პრეპარატის გაკეთებას ითხოვენ, რომელიც არც ბაზაში გვაქვს და მით უმეტეს, სხვის დანიშნულ ნამალს არ გამოვიყენებთ — ეს კანონითაც გვეკრძალება. აქედან გამომდინარე, სასწრაფოს ექიმებს ვერაფერში დავადანაშაულებ... ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ არ ითვალისწინებენ, ექიმი მამაკაცია თუ მანდილოსანი, ქალებზე უფრო ხშირად ხდება თავდასხმა.

— როგორ ფიქრობთ, სასჯელი დანაშაულის ადეკვატურია თუ საჭიროა კანონის გამკაცრება?

— ამ საკითხს ძალიან სტრუქტურა არეგულირებს და რაც არის მაქსიმალური, იმას იყენებენ.

სამაგიეროდ, კანონის გამკაცრების მომხრეა ჯანდაცვის კომიტეტის წევრი გიგი წერეთელი:

— „მინდა, კიდევ ერთხელ გამოვთქვა მწუხარება და სამძიმარი გამოვუცხადო დაღუპულის ოჯახს. ეს შემთხვევა ალბათ განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს, რადგან ექიმი, რომელიც მიღის სხვის დასახმარებლად, თავად გახდა მსხვერპლი. სწორედ ეს უნდა იყოს განსჯის საგანი პროფესიულ წრეებშიც, კანონმდებლებშიც, სამართალდამცავებშიც... ამ ჯაჭვში რაღაც მექანიზმი არ მუშაობს, მით უმეტეს ფსიქიატრიული განხრით.

ფაქტია, მენტალური პრობლემების მქონე ავადმყოფმა შეინარა სამედიცინო პერსონალი... აქ სხვა საკითხიც დგება — თუ ეს ადამიანი შეიარაღებული იყო, გამოძახებისას რატომ არ დააფიქსირეს ეს; ცალკე, მნიშვნელოვანი საკითხია — ექიმი როგორ უნდა დაიცვათ — ფაქტია, რომ ვერ შევიაარალებთ პერსონალს. ალბათ, ამ შემთხვევამ უნდა დაგვანახოს რეალობა და საჭიროა გარკვევს, სად არის სუსტი მხარე... ამას სჭირდება კანონმდებლობა, დაფინანსება...

— ბატონო გიგი, თქვენი აზრით რატომ გახშირდა ექიმებზე თავდასხმა?

— ეს დაკავშირებულია კრიმინალის მატებასთან... კრიმინალი ხდება, რომ ბრძოლა შესუსტებულია, მხოლოდ ჯარიმით შემოიფარგლება და ის უკან არაფერზე დაიხვეს. სხვა საკითხია, თუ ვინმე ექიმებს შეგნებულად ესხმის თავს, თუმცა წინასწარ განსაზღვრა, რომ ვილაც თავს დაესხმება, შეუძლებელია. ვფიქრობ, სასწრაფოს გამოძახებისას უნდა დაფიქსირდეს, რამდენად საეჭვოა ესა თუ ის შემთხვევა, სხვაგვარად, სასწრაფოს ათასობით გამოძახება აქვს და იმის განჭვრეტა, ვინ როდის დაესხმება თავს, ძნელია. გაიძლიან უნდა არსებობდეს, რომ საპატრულო პოლიციაც გამოიძახონ. თუ სამედიცინო პერსონალს არ მიანოდეს სათანადო ინფორმაცია, რომ იქ შეიძლება დახვდეთ გაუწონასწორებული, შეიარაღებული ადამიანი, ფაქტურ შემთხვევებს თავიდან ვერასოდეს ავიცილებთ. სხვა ჩარევებთან ერთად უნდა დაიხვეწოს ის პრინციპი, პროტოკოლი და გაიძლიან, რაც სასწრაფოს გააჩნია. ფაქტია, ამ ჯაჭვში რაღაც სისუსტე არის და ამას სჭირდება კარგი ანალიზი, რათა სამომავლოდ სამედიცინო პერსონალი იყოს დაცული.

— საკანონმდებლო ორგანოთი თქვენ ხართ და კანონის გამკაცრებაც თქვენი პრეროგატივაა, არ მეთანხმებით?

— კანონმდებლობა სამედიცინო პერსონალზე თავდასხმასთან დაკავშირებით უნდა გამკაცრდეს... მით უმეტეს, გვაქვს მკაცრი კანონმდებლობა სამართალდამცავებთან მიმართებაში, იგივე უნდა ვრცელდებოდეს პოლიტიკოსებსა და დეპუტატებზეც, თუმცა აქ მაინც ყველაფერი შერჩევითია. ვახსოვს, ოპოზიციონერი დეპუტატის შეურაცხყოფისთვის ასლარიანი ჯარიმა გამოუწერიათ და ხელისუფლების დეპუტატის პიჯაკის დაზიანებისთვის, ახალგაზრდები საპატიმროში ჩაუსვამთ. ლოგიკურად, თუ ამ ახალგაზრდებს საპატიმროში ვამწყვდევთ, ექიმზე თავდამსხმელსაც იგივე სასჯელი უნდა ჰქონდეს. მართალია, მოსამართლის დისკრეციაა, დაჯარიმებს თუ საპატიმროში გაუშვებს, მაგრამ თუ სამედიცინო პერსონალიც შევა იმ კატეგორიაში, რომელზე თავდასხმაც ჩაითვლება კრიმინალად და არა ადმინისტრაციულ დანაშაულად, კარგი იქნება — არ შეიძლება, ექიმი თუ ექთანის შემთხვეული იყოს და ჰქონდეს განცდა, რომ ერთ დღეს, შესაძლოა ლინჩის წესით გაასამართლონ.

დემოკრატიის გოლგოთა: უკრაინა საქართველოს გზას იმეორებს?

საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინულ პოლიტიკაში წარმატებული რეფორმატორის, დემოკრატიული ცვლილებების შიკრიკის, კორუფციასა და ბიუროკრატიათა უკომპრომისო მებრძოლის მანკით, თეთრ რაშზე ამხედრებული შევიდა. მოქალაქეები დადებითად შეხვდნენ იმ პოლიტიკოსის გამოჩენას, რომელმაც, ნამყვანი მედიის შეფასებით, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ძვრები მოახდინა, მაგრამ სააკაშვილის სამშობლოში, იქ, სადაც მსგავსი რეფორმები უკვე გატარდა, დაძაბულები და სინანულით ადევნებენ თვალ-ყურს მის „რეფორმატორულ მოღვაწეობას“ მეგობარ ქვეყანაში.

რას შეიძლება რეალურად ელოდნენ უკრაინელები საქართველოს ექსპრეზიდენტისგან მაშინ, როცა მისი თანამებრძოლები ქართული მართლმსაჯულება დაინტერესებული, ისინი კი დღეს უკრაინულ ძალოვან უწყებებში თანამდებობებს იკავებენ?



ამ შეკითხვებზე პასუხების მისაღებად, საქართველოში გავემგზავრეთ, რათა გავსაუბრებოდით ქართველ პოლიტიკოსებს, უფლებადამცველებს, ბიზნესმენებს და რიგით მოქალაქეებს. პრაქტიკულად, ყველა გულწრფელად უთანაგრძნობდა უკრაინას და გამოხატავდა სინანულს იმის გამო, რომ უკრაინაც იმ მწარე შეცდომების გზას დაადგა, რომელიც საქართველომ ვარდების რევოლუციის შემდეგ გაიარა. ზოგმა, ეს პერიოდი, 30-იან წლებსაც შეადარა, ზოგი კი ირწმუნება, რომ სტალინის რეპრესიების შედარებაც კი არ შეიძლება იმასთან, რასაც მაშინდელი კონსტიტუციის გარანტიორი, „ახალგაზრდა რეფორმატორების“ გუნდი საქართველოში სწავლიდა.

ჩვენ მოვისმინეთ თვითმხილველების საშინელი ნაამბობი, წარმოგვიდგინეს უამრავი ფაქტი და დოკუმენტი, რომლებიც გულგრილს არავის დატოვებს და რომელთა გასაჯაროებასაც ისინი ითხოვენ.

ცნობილმა უფლებადამცველმა, არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები-ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელმა ნანა კაკაბაძემ, საბჭოთა კავშირის დროს ციხეში 2 წელი გაატარა ანტისაბჭოური მოღვაწეობის ბრალდებით. ნანა კაკაბაძე მიიჩნევს, რომ შევარდნაძე სააკაშვილთან შედარებით ანგელოზი იყო.

ფაქტები იყო იშვიათი გამონაკლისი. სააკაშვილმა მაშინვე გააუქმა მაკონტროლებელი საბჭო, რომელშიც შედიოდნენ დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები და ციხეებში დაიწყო ნამდვილი განუკითხაობა. როცა ციხეში წამების შესახებ, პირველი სიგნალი მივიღეთ, არ დავიჯერეთ, იმდენად ელვისებური იყო ცვლილებები. პირველად, ხელში ჩაგვივარდა სულხან მლაშვილის საქმე. შევარდნაძის დროს ის იყო საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე — ორგანოსი, რომელიც აკონტროლებს სახელმწიფო ბიუჯეტს. ის დაადანაშაულეს მსხვილ ქურდობაში და საჭირო ჩვენებების მისაღებად, აწამეს. ჩვენი ორგანიზაციის ოფისში რამდენჯერმე მოვიდა იმ მსჯავრდებულის დედა, რომელიც მოლაშვილთან ერთად საკანში იჯდა. ქალბატონი ყველაფერს იტოვებდა მის შვილს და მის მესაკენს. გვთხოვდა, მათ შევხვედროდით. როცა ციხეში მივედით, ვნახე, რომ მოლაშვილი ძალიან გამხდარი იყო. მთხოვა, არავისთვის მომეყოლა წამების შესახებ — ეშინოდა, რომ მოკლავდნენ. ვაიძულე, პერანგი გაეხადა და შევხუდი, ზურგზე ისეთი საშინელი ჭრილობები ჰქონდა; ასეთივე ჭრილობები აღენიშნებოდა ფეხებზეც... შევარდნაძის დროს ციხეში გადაღობის უფლება გვქონდა. სააკაშვილის დროს კი, ავგუქრძალა. თან მქონდა მობილური ტელეფონი და გაჭირვებით, რამდენიმე სურათი გადავუღე.

— როგორ მიიღეს ამ ადამიანისგან სასურველი ჩვენებები? რა გიაშობთ მან წამების შესახებ?

— ეს საშინელება იყო. ტანზე სიგარეტისა და ცემის კვალი ჰქონდა. მეორე დღეს, დამოუკიდებელ ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილთან ერთად მოვიწვიე პრესკონფერენცია. ციხეები, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის იმ დღესვე დახურეს, მოლაშვილი კი სხვა იზოლაციაში გადაიყვანეს. მიუხედავად ამისა, მოვახერხე გადაღებული კადრების ტელევიზიით გაშვება. ხელისუფლებამ ვერ მოასწრო ყველა მედიასაშუალებების განმეორება და ამის ნეალოებით, ბევრმა სიმართლე გაიგო. იმედი მაქვს, უკრაინაშიც ნანახი აქვთ ეს კადრები.

— რა თქმა უნდა, ხმები ჩვენამდეც მოდიოდა, მაგრამ რეფორმატორის იმიჯს მაინცდამაინც ვერ ავნეს. უკრაინელებისთვის მთავარია, რომ სააკაშვილმა სამშობლოში დაამარცხა კორუფცია. ამ საქმეში კი, ბევრისთვის, ყველა მეთოდი მისაღება.

— მინდა გავაქარწყლო მითი, თითქოს კორუფცია დამარცხებულია. ქვედა რგოლში მან კორუფცია დაძლია და აღმოჩნდა ქრთამების დამლუპველი სისტემა, მაგრამ კორუფცია „ზემოთ“ იზრდებოდა. ელიტური კორუფცია აყვავდა. ყველა სახსრები „ზემოთ“ წავიდა, სახელმწიფო ბიუჯეტი პრეზიდენტის პირად ჯიბედ გადაიქცა. ის პირადად იღებდა გადაწყვეტილებებს, რაში, როგორ დახარჯულიყო ან საიდან ამოეღო ფული. საბჭოთა კავშირის დროს, ქართველები ღარიბულად არ ცხოვრობდნენ. პირიქით, უკეთ ცხოვრობდნენ, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში. იმ დროიდან ბევრს დარჩა რაღაც დანახოგი, უძრავი ქონება, მანქანები, მინა — სააკაშვილმა მათ ყველაფერი ჩამოართვა.

თავიდან გახსნეს სპეციალური, ერთი შეხედვით, ოფიციალური ფონდები, მაგრამ არცერთ სახელმწიფო ინსტიტუტს არ შეეძლო მათი გაკონტროლება. მათ ერქვა „პროკურატურის და შსს-ს განვითარების ფონდები“. ჰქონდათ სრული ინფორმაცია, რა ქონებას ფლობდა ესა თუ ის ადამიანი. სიიდან, რიგრიგობით იბარებდნენ ადამიანებს პროკურატურაში და ეუბნებოდნენ — ან გადარიცხავ ფულს ამ ფონდების ანგარიშზე, ან ჩაგვამთ ციხეში. ვინც უარს ამბობდა „ქველმოქმედებაზე“, ციხეში უშვებდნენ და ამცირებდნენ. როცა გავრცელდა ინფორმაცია, რა ხდებოდა ციხეებში, მსჯავრდებულები თანახმა იყვნენ, ხელი მოეწერათ ყველა დოკუმენტზე, ოღონდ არ ენაშაუებინათ და არ მოეკლათ. მაგრამ მათ მაინც აწამებდნენ, რომ გაჩუმებულიყვნენ. საქართველოში შიშმა დაისადგურა. ადამიანები ხვდებოდნენ, რომ თუ მოხვდებოდნენ ციხეში, მათ ელოდათ გაუპატიურება ან წამებით სიკვდილი.

2011 წლის 15-24 ივნისის ანგარიშში, გაერო-ს სამუშაო ჯგუფი უკრაინის დაკავების საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს: „გაერო-ს სამუშაო ჯგუფი იყო ვიზიტით თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის პენიტენციურ დაწესებულებებში, ჩატარა შეხვედრები 154 დაპატიმრებულთან, რომლებიც იმყოფებოდნენ ამ პენიტენციურ და გამოსასწორებელ დაწესებულებებში. აღვნიშნავთ, რიგი საკითხები განსაკუთრებულ შემოთვალს განვეს და მათ მიმართ მივაპყროთ მთავრობის ყურადღება. საქართველოში, ციხეებში მყოფი მოქალაქეების მაჩვენებელი ერთერთი ყველაზე მაღალია. მივიღეთ ინფორმაცია, რომ სასამართლოებში წასული საქმეების უმრავლესობისას, პირებს აპატიმრებენ. ფაქტია ისიც, რომ სასამართლოში წასული საქმეების დაახლოებით 90%, მთავრდება დანაშაულის აღიარებით და პროცესში მოსამართლეების მინიმალური ჩარევით. და ეს ხდება მიუხედავად ისეთი პოზიტიური შედეგისა, როგორცაა სასჯელის ვადის შემცირება. გარდა ამისა, დანაშაულის აღიარების უმეტეს შემთხვევაში, ჯარიმისა და კომპენსაციის სახით, საკმაოდ დიდი თანხების გადახდა, მძიმე ფინანსურ ტვირთად იქცევა უამრავი ადამიანისთვის. ჩვენი მონაცემებით, გამამართლებელი განაჩენის გამოცანის დონე საქართველოში 0,1%-ია, რაც ნიშნავს, რომ დაცვის ქვეშ მყოფი 99,9%-ს აღიარებენ დანაშაულს. გარდა ამისა, თავისუფლების აღკვეთის ვადები საკმაოდ მკაცრია ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან შეფარდებაში. ჩვენს მიერ გამოკითხული ბევრი ადამიანი ამტკიცებს, რომ დანაშაული აღიარეს ზნეობის გამო, რადგან ხვდებოდნენ, რომ გამამართლებელი განაჩენის გამოცანის შანსი მინიმალური იყო. განსაკუთრებულ შემთვალს იწვევს ის, რომ დაკავებულების უმრავლესობა, უარს ამბობს სასამართლო პროცესის წარმართვაზე, რადგან პირობებს მიიჩნევენ, რომ შეუძლებელია საქართველოში სასამართლო იყოს სამართლიანი და მიუკერძოებელი“.

სინა რომოს დემოკრატიის მიღწევა

— „შსს-ს განვითარების ფონდის“ გარდა, სააკაშვილის დროს, ხალხისგან ფულის ამოღების კიდევ რა მექანიზმები მუშაობდა?

— ხალხს ფულს ართმევდნენ სასამართლოების მეშვეობით. მიიღეს კანონი საპროცესო შეთანხმებაზე. ასეთი კანონი ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში მუშაობს. მაგალითად, ამერიკაში, მაგრამ იქ ის არსებობს იმისთვის, საგამომიებო ორგანოებს სისხლის სამართლის საქმის სწრაფად და ნაკლები ხარჯით გახსნაში დაეხმაროს. ამ კანონში არსადაა მითითებული, რომ ადამიანმა უნდა გადაიხადოს ფული. საქართველოში მიღებულ კანონში კი მითითებული იყო თანხების რაოდენობა — რომელი მუხლის შესაბამისად, რა რაოდენობის თანხა უნდა გადაერიცხა ადამიანს ბიუჯეტში. მაგალითად, თუ ბრალდებული იყო დაკავებული მუხლით, რომელიც თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, მისი ოჯახის წევრს მოსამართლე ეუბნებოდა: ან 150 ათას ლარს გადარიცხავთ ბიუჯეტში, ან ჩაჯდება ციხეში. ციხეში კი, ადამიანებს რა ელოდათ, ყველამ იცოდა. ასეთი სისასტიკე და რეპრესიები, საქართველოში, 1937 წელსაც კი არ ყოფილა. კომუნისტებიც, რომელთა დროსაც არ იყო კერძო საკუთრება, მიიჩნევდნენ, რომ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს მანქანა, სახლი სოფელში... სააკაშვილის დროს, ხალხს ართმევდნენ იმასაც კი, რაც კომუნისტების დროს ჰქონდათ. მან შეძლო, რამდენიმე წელიწადში აღედგინა „დასმენის ინსტიტუტი“ — მეზობელი ასმენდა მეზობელს, ქმარი — ცოლს...

— სტალინის პერიოდზე ამბობენ, ხალხის ნახევარი იჯდა, მეორე ნახევარი კი, მათ დარაჯობდაო. სააკაშვილის დროს ბევრი მოყვა რეპრესიებში?

— თავად განსაჯეთ — თუ 2003 წლამდე გვყავდა 4 700 პატიმარი, სააკაშვილის მერე ეს რაოდენობა 27 ათასამდე ავიდა. ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, რომელიც ციხეებში ვითარებას იკვლევს, საქართველომ, პატიმრების რაოდენობით, ევროპაში პირველი ადგილი დაიკავა. ეს უთუოდ არის სააკაშვილის „დემოკრატიული რეჟიმის“ „მიღწევა“...

— რა პირობებში იმყოფებოდა ეს ხალხი?

— წლების მერეც კი მიჭირს ამის გახსენება... არაადამიანურ პირობებში: ადამიანებს არათუ ძილი, ჯდომაც კი არ შეეძლო. ამბობენ, სააკაშვილის დროს ხალხი ციხეში კი არ იჯდა, იდგაო. საკნები ისე იყო გადატვირთული, პატიმრები ღამით ნარზე თავს იბამდნენ, რომ ძილში იატაკზე არ დანარცხებულიყვნენ.

გავრძელება მე-8 გვერდზე



— კომუნიზმის, შევარდნაძის დროს, მე და ჩემი მეგობრები ციხეში ვისხედით, მაგრამ როცა ის სათავეში თავისუფალ საქართველოს ჩაუდგა, ქვეყანამ დემოკრატიისაკენ დაიწყო სვლა. მისი მმართველობის ბოლოსკენ უკვე არსებობდა თავისუფალი მედიასაშუალებები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც სერიოზული გავლენა ჰქონდათ. ალბათ ვერ დავასახელებ სხვა ქვეყანას ევროპაში ან ამერიკაში, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციები ასეთი ავტორიტეტული იყვნენ. შევარდნაძისდროინდელი საქართველოს ერთადერთი პრობლემა იყო კორუფცია. საზოგადოებაში იზრდებოდა პროტესტი, რომელსაც აღვივებდა ოპოზიცია — როგორც მათ უნოდებდნენ, „რეფორმატორთა ჯგუფი“. ხალხმა დაუჯერა მათ, მიუხედავად იმისა, რომ ისეთ ადამიანებს, როგორც სააკაშვილი და ჟვანია იყო, არ აინტერესებდათ რეფორმები. მათ უბრალოდ, ძალაუფლების მისაღწევად, პიარი სჭირდებოდათ. და ისეთი მოვლენა, როგორიც არჩევნების გაყალბებაა, ჩვენთან გაჩნდა ჟვანიას და სააკაშვილის დროს. ეს მათი ნოუ-ჰაუ იყო, რადგან გამსახურდიას დროსაც კი, თავისუფალი არჩევნები ტარდებოდა.

— როდის შენიშნეთ, რომ სააკაშვილი არ არის ისეთი, როგორაც თავს განიხილავდა?

— მის მიმართ ილუზიები არც მქონია. ეს ადამიანი ყოველთვის პუბლიკაზე მუშაობდა, თავს აჩვენებდა, მაგრამ არ მეგონა, რომ მას პრეზიდენტობის ამბიციები ექნებოდა. სააკაშვილი ხალხს თავისუფლებასა და დემოკრატიას, გამჭვირვალობას პირდებოდა, მაგრამ მოვიდა თუ არა ხელისუფლებაში, ყველაფერი დაიხურა. პირველ რიგში, მათ დახურეს ციხეები საზოგადოებრივი კონტროლისგან. შევარდნაძის დროს, არასამთავრობოებს პატიმრებთან წვდომა დღე-ღამის განმავლობაში და მუდმივი მონიტორინგის უფლება ჰქონდათ... შემიძლია ვამტკიცო, რომ 2003 წლამდე ქართულ ციხეებში არ იყო არაადამიანური მოპყრობა, წამების

ა ღ ვ ი ლ ი					ს ტ ა ნ დ ა რ ტ ი					რ თ უ ლ ი					ე ქ ს ჰ ე რ ტ ი									
2	1				5		3			8		7	9		1	7	5	4						
1	9		4		8		2	7				3	8	9	7		6	2	7					
8			6	2	4				6	7	2	2		1		8		9			3	2		
	1				6	8			3	1	8				4	1	2		5		3			
9	8				3	2	9		1	4		7	3	4			7		6					
5					4		3	8			6		5				9		4		7	6	9	
		8	7	4		3	1	5	7					2		4		3	2		6			8
3			8		6	4				1	9	4	1		2	6				2	5	1		
				5		1	6			5		1	8		5	1					9	2	4	

ა ღ კ ო ჰ ო ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ს ა ლ ა მ ა ზ ე მ ს

აშშ-ს ჰიუსტონის უნივერსიტეტის სწავლულებმა სპეციალური კვლევა ჩაატარეს იმის დასადგენად, როგორ მოქმედებს ალკოჰოლური სასმელი პიროვნების ალქმაზე. დადგინდა, რომ ზომიერი მსმელები უფრო დიდ სიმპათიას იმსახურებენ, ვიდრე ისინი, ვინც საერთოდ არ ეკარება სპირტიან სასმელს. კვლევებში დაახლოებით 600 სტუდენტი მონაწილეობდა. თითოეულ მათგანს 25 ფოტო აჩვენეს, რომელზეც სანიანალმდეგო სექსის ადამიანები იყვნენ ალბეჭდილნი და თან ასეთი წარწერები ჰქონდა: „ეს ხშირად თვრება“, „ეს ხანდახან სვამს“, „ეს არასოდეს სვამს“ და სხვა. ამის შემდეგ სტუდენტებს ფოტოები შვიდბალიანი სისტემით უნდა შეეფასებინათ. ყველაზე დაბალი ქულები (2,86) აქტიურმა მსმელებმა აიღეს, ზომიერმა მსმელებმა — 3,69 ქულა, არამსმელებმა — 3,27. ის პირებიც კი, რომლებიც ალკოჰოლზე დამოკიდებულებაზე მკურნალობდნენ, უფრო მომხიბვლელი აღმოჩნდნენ, ვიდრე საერთოდ არამსმელი ადამიანები. სწავლულების თქმით, ასეთი შედეგი იმის გამო დაფიქსირდა, რომ კვლევებში მონაწილე ადამიანების უმრავლესობა სწორედ იმ ჯგუფს განეკუთვნებოდა, რომლებიც ალკოჰოლურ სასმელს ზომიერად მოიხმარს.



ღ ა მ პ ი ო ნ ე მ ს მ ა ნ ა თ ო ბ ე ლ ი ხ ე მ ბ ი ფ ე ს ზ ლ ი ს



მანათობელი ხეები კემბრიჯის უნივერსიტეტის სწავლულებმა შექმნეს. ბრიტანელმა სპეციალისტებმა მცენარის გენეტიკურ კოდში ჩასვეს მწერების — ციციინათელებისა და ზღვის ბაქტერიების, ვიბრიო ფიშერის სტრუქტურები, რომლებიც ფლუორესცენტულ ნათებას იწვევენ. ამგვარი გენეტიკური ცვლილების შედეგად ხე სინათლის გამოსხივებას იწყებს. თანაც, უახლესი ბიოტექნოლოგიის საშუალებით სინათლის ძალის რეგულირება შეიძლება. სწავლულების აზრით, ტექნოლოგიურ ხეებს შეუძლია გადაწყვიტოს ქალაქის ქუჩებისა და მოედნების განათების პრობლემა და დაიზოგოს ელექტროენერგია ლამპიონებზე. მკვლევარებმა შეძლეს იმის მიღწევა, რომ ღვინის ბოთლის ზომის მქონე ბაქტერიების კოლონია წიგნის ნასაკითხად საკმარის შუქს იძლევა. სპეციალისტებმა გენების ისე შერჩევა მოახერხეს, რომ ამ ორგანიზმებს თავად გამოემუშავებინა ფერმენტები მისი შემდგომი გადაამუშავებისთვის. სწავლულებმა დათვალეს, რომ ორგანიზმებისთვის საჭირო იქნება ფოტოსინთეზის დროს მიღებული ენერჯის სულ 0,02 პროცენტი, კონკურენცია რომ გაუწიოს თანამედროვე ქუჩების განათებას. მკვლევარები ახლა ისეთი ნაძვის ხის გამოყვანაზეც მუშაობენ, რომელიც თავად გაანათებს.

ც ნ ო ბ ი ლ მ ო მ დ ე რ ა ლ ს ჰ ა ც ი მ ლ ო ბ ა მ ი უ ს ა ჯ ე ს



წ ი ნ ა წ ო ბ ა რ უ ი გ ა ს უ ლ ი ს კ ა ნ ვ ო რ დ ი ს ა და ს უ ლ ო კ უ ს პ ა ს უ ხ ე ბ ი

ა ღ ვ ი ლ ი										ს ტ ა ნ დ ა რ ტ ი									
4	3	8	2	1	6	9	7	5		7	1	8	3	4	2	9	5	6	
7	2	6	8	9	5	1	4	3		2	6	5	1	9	7	4	3	8	
5	9	1	7	4	3	2	8	6		4	3	9	6	5	8	7	2	1	
6	5	2	4	3	1	7	9	8		1	8	3	7	2	9	6	4	5	
3	4	9	6	8	7	5	2	1		5	4	7	8	6	3	1	9	2	
1	8	7	9	5	2	6	3	4		9	2	6	5	1	4	3	8	7	
2	7	5	3	6	4	8	1	9		6	5	4	9	8	1	2	7	3	
9	1	4	5	2	8	3	6	7		8	7	2	4	3	6	5	1	9	
8	6	3	1	7	9	4	5	2		3	9	1	2	7	5	8	6	4	
რ თ უ ლ ი										ე ქ ს ჰ ე რ ტ ი									
2	1	9	8	3	7	5	4	6		2	8	7	1	9	6	5	4	3	
7	4	6	5	2	1	3	9	8		6	3	5	7	8	4	2	1	9	
5	8	3	4	6	9	2	1	7		4	1	9	5	3	2	8	6	7	
6	5	4	9	1	3	8	7	2		1	4	8	9	6	7	3	5	2	
3	2	1	7	8	6	4	5	9		3	5	2	4	1	8	9	7	6	
8	9	7	2	4	5	6	3	1		9	7	6	3	2	5	4	8	1	
4	7	5	6	9	2	1	8	3		5	6	4	2	7	9	1	3	8	
1	6	8	3	7	4	9	2	5		8	2	3	6	5	1	7	9	4	
9	3	2	1	5	8	7	6	4		7	9	1	8	4	3	6	2	5	

მე-10 გვერდი: 1. მალთაყვა; 2. ამალთა; 3. თავთავი; 4. ყიზლარი; 5. ვახტანგი; 6. ავრალი; 7. ტოსტაო; 8. ნიანგი; 9. მალვაზია; 10. ლამა; 11. ბარიკელი; 12. იავა; 13. სნაიპერი; 14. ტრისტანი; 15. ინდი; 16. ნკონო; 17. ირისი; 18. საბაოთი; 19. ლიანგი; 20. ლისი; 21. კაისა; 22. ვარნა; 23. იენა; 24. აღინამია; 25. პეშტი; 26. პინტა; 27. თხუნელა; 28. ანაშა; 29. ტრიკონი; 30. კაბირია; 31. ბრიუგე; 32. ინდრა; 33. პარკერი; 34. შადიმანი; 35. პიკნიკი; 36. როდენი; 37. ხონი; 38. ქსანთიპე; 39. ებრო; 40. იმრე; 41. ელდა; 42. ნიბო; 43. ამწე; 44. ურნა; 45. ეგერი; 46. რელიგია; 47. კანოე; 48. ხმა; 49. რაი; 50. კოლევა; 51. მერია; 52. ხარება; 53. გუშინ; 54. ბემოლი; 55. რე; 56. ტაო; 57. იბნ; 58. ალა; 59. რაბი; 60. ოინა; 61. „იარისი“.

მე-12 გვერდი: 1. მაკულატურა; 2. გამაში; 3. მუშია; 4. კილტი; 5. ლუ-არა; 6. გუბაზოული; 7. მაკინტოში; 8. შუნი; 9. სმალტა; 10. მადათოვი; 11. „ლელა“; 12. ბეკონი; 13. არტანი; 14. აკრიბია; 15. კურტი; 16. კათეტი; 17. კამილა; 18. ალა; 19. ამია; 20. ზონა; 21. ტოფუ; 22. კოდალა; 23. შალი; 24. მალა; 25. ლომფა; 26. კასტილია; 27. ნაი; 28. თითა; 29. კალჩო; 30. კობინინი; 31. სარაბანდა; 32. ლია; 33. „კინო“; 34. ისლი; 35. ხორეშანი; 36. ზმნა; 37. ტევერი; 38. უხა; 39. ნიბი; 40. ნაბლა; 41. ლიგა; 42. შპაგატი; 43. ნენა; 44. ამინ; 45. ინიციაცია; 46. აბესალომი; 47. ფსოუ; 48. ბახი; 49. ხვალ; 50. ავგია; 51. პარიტეტი; 52. იუნგა; 53. ვაკე; 54. სიბარიტი; 55. ნაბადი; 56. აბუ; 57. დიახ; 58. რაული; 59. დატივი; 60. პას; 61. ნეო; 62. ასი; 63. „ციცკარა“; 64. ხაკი; 65. სლაიდი; 66. დონა; 67. აკა; 68. რაბატი; 69. აული; 70. ფაუ; 71. ადლი; 72. ალმასი; 73. დანი; 74. ინა; 75. ფშატი; 76. ტერემკოვა; 77. მაკაო; 78. ალაფი; 79. სი; 80. იუმორი; 81. ურა; 82. ჯაზი; 83. ასაკი. 84. ტატო.

ცნობილ ესპანელ საოპერო მომღერალს, მონსერატ კაბალიეს თაღლითობის ბრალდებით, ნახევარი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. წინასწარი მონაცემებით, 82 წლის საოპერო დევა, რომელიც დოკუმენტების მიხედვით, ჯუჯა სახელმწიფო ანდორაში ცხოვრობს, ესპანეთის საგადასახადო ორგანოებს სკონცერტო გამოსვლებში აღებულ ჰონორარებს უმაღლესად. ბარსელონაში გამართულ სასამართლოზე კაბალიეს ასევე დაავადებულეს, წელიწადნახევრის განმავლობაში ჯარიმის სახით, სახელმწიფოსთვის 255 ათასი ევროს გადახდა. თავად მომღერალი სასამართლოს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ ესწრებოდა. ვიდეოკონფერენცკავშირის მეშვეობით, მან განცხადება გააკეთა და ბრალი აღიარა. მონსერატ კაბალიე ბარსელონას პროკურატურამ გადასახადებისგან თავის არიდებაში (500 ათასი ევრო) ჯერ კიდევ 2014 წელს დაადანაშაულა. გამოძიების დროს გაირკვა, რომ ცნობილი მომღერალი უცხოეთში კონცერტებს ანდორული კომპანიის მეშვეობით აფროპმებდა, თუმცა, ფაქტობრივად, ბარსელონაში ცხოვრობს.

1. სეც- წყისთი ამოყვანილი ცხერის ყველი		2. მოძრავი ტყეის ასს- ლეთა ზედა- პირიდან		3. გეო- დეზიური ხელსაწყო					4. ძალოსანთა სპორტული იარაღი		5. ევბიტის ფარაონი		6. ცხენის ფეხზე და- საკრავი რკინა				
7. ხის დიდი ყოთი სასურა- ვით		8. გარეული ვირი		9. ძიუდოს საჭიდაო სალონა				10. ფოტო- გრაფის სახელოსნი		11. ინდოეთის საკურორტო მტატი		12. სასტუმ- როს მსახური ბიჭი					
13. იგივე, რაც წვეპლა												14. ანტილო- პას სახეობა		16. ჩემურაშ- კას მეგობარი ნიანგი			
												15. უსინათლო ადამიანი					
					17. ისირისის და ცოლი												
19. უდიდესი ნიჭი														21. იტალიის საფეხბურთო კლუბი			
20. ქალაქი ქსტონენში																	
					22. გეომეტრიის ნაწილი		23. ფრანგი მეზღაბრე										
										24. დილის პანგი აღ- მოსაღვლის ქვეყნებში		25. ბორჯო- მის უბანი		26. ლოცვის წიგნების დასა- დები მავიდა ეკლესიაში			
27. ჯანმრთელობის ქალმერთი ძველბერძნულ მითოლოგიაში		28. პოეზიის ჯანრი															
					31. მღვდელ- მთავართა თავსარქმელი		32. მდინარე ერევანში						33. მდინარე დასავლეთ საქართველოში	34. ქალაქი საფრანგეთში			
35. წინარი ამინდი ზღვაზე		36. ფსიქიკური აპოლოზის ერთ-ერთი ფორმა		37. ცომის წერილი ნაჭ- რები, მოხარ. წყალში				38. სიმინდის ყვავილედი		39. ქიმიური ელემენტი, მეტალი							
					40. საფეს-ტი- ვალო ქალაქი იტალიაში		41. ღმერთების ხელმწიფე ინდოუზში					42. აზნაურის ტიტული ესპანეთში					
43. შპერის ლერწმის ჭრა კუბაში		44. ლათინური ანბანის ასო								45. საყრდენი ჯიხვი ორთოპე- დული პაციენ- ტებისთვის		46. აეს- ტრალიური ველური ძალი		47. ზეისბო- ლის მსგავსი თამაში რუმინეთში			
							48. „მარტო- ობის ასი წელიწადი“ - ავტორი					49. პერსეუსის ღდა					
50. კომ- ბოსტოს „ნათესავი“		51. დელოფინის სახეობა					52. ორ- ლანდილი მიმღერალი ქალი		53. ნაგვის ყოთი				55. ქარისგან მოტანილი სილის ბორ- ცი				
	56. პორი- ზონტალური ფიცარი ფან- ჯრის ქვეშ			57. ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული										60. მიმართვა ფრანგი მეფისადმი			
					61. დროის დიდი მონ- აკვეთი, ეპოქა			62. რემ- ბრანდის პირველი ცოლი		63. აიზონის ზომადი				65. ავი სული ისლამში	66. ამირანის ერთ-ერთი ძმა		
	67. რბილი, ჭედილი ლითონი							68. ქაჯანას ნამდვილი სახელი		69. „ჩელისი“ კოლუმბიელი თავდასხმელი							
					70. უფულებო ადამიანი							71. უდაბნოს ხე		73. პოპულარული კომპიუტერუ- ლი თამაში	74. მდინარე რუსეთში	75. რეგის მეფე“ ... მარლი	76. ძველ- ეგვიპტეთში წმინდა ფრინველი
	77. თმის მცენარეული საღებავი				78. მეცნიერება მონაცემთა შეგროვების, დამუშავების და ანალიზის შესახებ		79. როკ- ჯგუფი „კინოს“ ლიდერი					80. სპილ- ბერგის უცხო პლანეტელი					
					81. ქალაქი რაჭაში									82. კატის უფელესი ეგვიპტური ჯიში	83. ღმერთის მიერ შექმნი- ლი პირველი ადამიანი		
	84. მწყობის ად- მინისტრაციულ- ტერმინოლოგიის ერთეული				85. მავლის მეგობარი პითონი		86. რუსული თვითმფრინა- ვის მარკა		87. ვაზის გავრცელებული დაავადება, გამოწვეული პარაზიტი სოკოებით								



ჩინეთმა სუფთა ჰაერის შესყიდვა დაიწყო

ჩინეთში ჰაერის დაბინძურება სულ უფრო სერიოზულ სახეს იღებს, ამიტომ ხელისუფლებამ კანადიდან სუფთა ჰაერის ექსპორტი დაიწყო. ქვეყანაში უკვე უზარმაზარი პოპულარობით სარგებლობს ბალონები კანადური კლდოვანი მთების სუფთა ჰაერით. ერთი ასეთი ბალონი 7,7 ლიტრ „მაცოცხლებელ“ ჰაერს შეიცავს და მისი ღირებულება 100 იუანია (დაახლოებით 15 დოლარი), რაც 50-ჯერ ძვირია ერთ ბოთლ მინერალურ წყალზე. ჩინელების უმრავლესობა, ვინც ასეთ პროდუქციას ყიდულობს, დიდ ქალაქებში ცხოვრობენ, სადაც ჰაერის დაბინძურების დონე გაცილებით მაღალია. როგორც კანადური კომპანია Vitality Air აცხადებს, მათთვის ყველაზე დიდი პრობლემა ახლა პროდუქტზე სწრაფად მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებაა. ჯერჯერობით, ყოველი ბალონი ხელთ იცხება სუფთა ჰაერით, რაც ძალიან შრომატევადია.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
 e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
 UDC(უპაკ)070.48:32(479.22)3-387

დაგეგმვა და მითითებული მითითებები
 მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
 პასუხისმგებელი მითითებები: ნინო ლურსმანაშვილი
 მმფიკცხში: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
 მარიკა ლომიძე.
 სტილისტი – ნინო ებანოძე
 დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
 ტელ: +995 32 294 23 99



დაცულია საავტორო უფლებები.
 რედაქციაში შემოსული
 მასალები უკან არ ბრუნდება.
 სტატიაში მოყვანილი ფაქტებსა
 და ინფორმაციის სიზუსტეზე
 პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
 შემთხვევაში დაგვიკავშირდით
 14 დღის განმავლობაში.